4635

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 23 მაისი, 1941 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო

№ 21 (180) ფასი 30 კაპ.

## კრიტიკის როლი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში

დიდი რუსი კრიტიკოსი ბელინსკი სწერდა: „კრიტიკოსის ნიჭი არის იშვიათი ნიჭი და ამიტომ უაღრესად დასაფასებელი... და მართლაც... რამდენიმე პირობა იყრის თავს ამ ნიჭში: ღრმა გრძნობა, მხურვალე სიყვარული ხელოვნებისადმი, ზუსტი ყოველმხრივი შესწავლა, გონების ობიექტურობა, რაც არის მიუკერძოების წყარო, უნარი არ დაემორჩილო გატაცებას..“ ამ დახასიათებაში შესანიშნავად არის გაგებული მაღალი, ნამდვილი კრიტიკის ხასიათი.

კრიტიკის ასეთივე გაგება აქვს მოცემული ილია ჭავჭავაძეს. მისი განმარტებით „კრიტიკა არის განხილვაც, გაჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც...“ სხვაგან ილია სწერს: „ლიტერატურა თავისი ფართო მნიშვნელობით გონების ნაჭირნახულევი ხვავია, საცა წმინდა ხორბალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიცა. რაც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკა—ლიტერატურისათვის....“ ი. ჭავჭავაძის აზრით, კრიტიკოსის საქმეა ცნობიერებაში მოიყვანოს ანალიზის გზით მწერლის საზოგადოებრივი შეხედულებები, უჩვენოს მხატვრული ნაწარმოების აზრი და მნიშვნელობა, განსაზღვროს ის სასიცოცხლო ელემენტები, რომლებიც ნაწარმოების განსაკუთრებულ თვისებას შეადგენენ. ილიას გაგებით, სათანადოდ რომ გააკრიტიკო მხატვრული ნაწარმოები, დეტალურად უნდა შეისწავლო კრიტიკის საგანი, მთელის სისრულით უნდა იცოდე პოეტური შემოქმედების განვითარების კანონები. კრიტიკოსი აუცილებლად უნდა იდგეს თავისი ეპოქის განათლებისა და მოწინავე აზროვნების სიმაღლეზე, მას უნდა გააჩნდეს დიდი გემოვნება.

თვითონ ი. ჭავჭავაძეს ისევე, როგორც ბელინსკის, თავის კრიტიკულ წერილებში მტკიცედ აქვს დაცული ის პრინციპი, რომლებიც მან გამოსთქვა საერთოდ კრიტიკის ამოცანებსა და მიზნებზე. მწერალს ილია მთლიანად აფასებს, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ, რადგან მისთვის ეს ორი მხარე განუყოფელია. იგი დიდ ყურადღებას აქცევს ნაწარმოების მთლიანობას — თემას, გმირთა ხასიათს, აღწერას, დეტალებს, სიტყვიერ მასალას,—ერთის სიტყვით, ყველაფერს იმას, რის შეჯამებაც მხატვრულ ნაწარმოებს გვაძლევს.

ი. ჭავჭავაძე ყოველთვის ყველაფერზე მაღლა ლიტერატურის საერთო ინტერესებს აყენებდა.

განსაკუთრებით მაღალ დონეზე იდგა მუდამ ბოლშევიკური კრიტიკის კულტურა. ლენინმა და სტალინმა უაღრესად აამაღლეს ლიტერატურული კრიტიკის დონე. მათ ნაწერებსა და შეხედულებებში მოცემული გვაქვს ნამდვილი მეცნიერული, ბრწყინვალე კრიტიკის ნიმუშები და სახელმძღვანელო დებულებები.

თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა წარმოადგენს მწერალთა იდეური აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო და მნიშვნელოვან საშუალებას. კრიტიკოსი, ისევე როგორც პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ასრულებს ფუნქციას „სულის ინჟინერისას“, იგი იდეურად და ესთეტიურად ზრდის მკითხველს, აყალიბებს მის შეხედულებებს და ამავე დროს განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ლიტერატურის განვითარებაზე. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ჩვენი კრიტიკა სათანადოდ ვერ ასრულებს თავის ამ დანიშნულებასა და მოწოდებას.

ჩვენი კრიტიკა მოვალეა დააყენოს ლიტერატურის წინაშე ახალი ამოცანები, რომლებსაც გვისახავს საზოგადოებრივი განვითარების მთელი მიმდინარეობა. ტურგენევი ბელინსკის შესახებ სწერდა, რომ მისი, როგორც კრიტიკოსის, შესანიშნავი თვისება „ის იყო, რომ მას ესმოდა, თუ რა იყო მორიგი საქმე, რა მოითხოვდა დაუყოვნებლივ გადაწყვეტას, რა იყო „დღიური ჭირვარამი“. ამ ამოცანის გაგებისა და მისთვის ბრძოლის გარეშე კრიტიკა ყოველთვის მოკლებული იქნება საზოგადოებრივ რეზონანსს.

ამ ერთი წლის მანძილზე ქართულ ენაზე გამოქვეყნდა მრავალი წიგნი პოეზიისა და პროზის დარგიდან. ამ წიგნებში ბევრი რამეა საყურადღებო და მნიშვნელოვანი. მაგრამ მათ გვერდით გამოქვეყნდა ისეთი წიგნებიც, რომელთა ხარისხი მეტად დაბალია, რომლებიც მოკლებულნი არიან ნამდვილ მხატვრულობას და იდეურობას. ჩვენს კრიტიკას არ მოუხდენია ამ წიგნების გაცხრილვა, გაწმენდა. ეს იმიტომ, რომ კრიტიკოსები გაურბიან დაუფარავად, პირდაპირ უთხრან მწერალს ის, რასაც ფიქრობენ მისი ნაწარმოების შესახებ. იშვიათია, რომ კრიტიკოსმა დაიწუნოს ნაწარმოები, რომელიც ნამდვილად ღირსია დაწუნებისა და უარყოფისა. ჩვენი კრიტიკოსები უფრო ამჯობინებენ სწერონ უწყინარ, არააქტუალურ თემებსა და საკითხებზე.

ჩვენი ლიტერატურის განვითარებისა და წინსვლის თვალსაზრისით, მეტად საჭირო და სასარგებლოა თვითონ მწერალთა პარალელური მუშაობაც კრიტიკის დარგში. ასეთი მუშაობის მრავალი მაგალითი გვაქვს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. საკმარისია გავიხსენოთ პუშკინის, გოეთეს, ბალზაკის, ჰიუგოს, ჰეინეს, ი. ჭავჭავაძის, მ. გორკის და სხვათა კრიტიკული წერილები, რომლებიც წარმოადგენენ ლიტერატურული მოვლენების შესანიშნავი გაგების ნიმუშებს.

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა რამდენიმე დოკუმენტი, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი კრიტიკის აღმავლობისათვის. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ და მის საფუძველზე მიღებული საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ამავე საკითხებზე ისეთს სახელმძღვანელო მითითებას წარმოადგენენ, რომელთა განხორციელებაც დიდად აამაღლებს და წინ წასწევს ჩვენს კრიტიკას.

## ი. გრიშაშვილის საღამო ვოროშილოვის სახ. კლუბში

11 მაისს თბილისის ვოროშილოვის სახელობის კლუბში გაიმართა ი. გრიშაშვილის შემოქმედების საღამო.

ლამაზად მორთულ დარბაზში უამრავ ხალხს მოეყარა თავი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა შალვა დადიანმა.

მოხსენებით ი. გრიშაშვილის შემოქმედების შესახებ გამოვიდა ბ. ჟღენტი.

პოეტის საბჭოთა პერიოდის შემოქმედებაზე და საბავშვო ლექსებზე ილაპარაკა ლ. ჭიჭინაძემ.

ი. გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ადგილობრივი ლიტერატურული წრის წევრებმა მ. ოქროპირიძემ, გ. ფერაძემ, ბუაძემ და სხვ.

რამდენიმე ლექსი წაიკითხა ი. გრიშაშვილმა. დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა პოეტის გამოსვლას.

დასასრულ, ადგილობრივი მხატვრული ძალების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი. კლუბთან არსებულმა მომღერალთა გუნდმა შეასრულა სიმღერა, რომელიც დაწერილია ი. გრიშაშვილის სიტყვებზე.

## მ. ლერმონტოვის გარდაცვალებიდან ასი წლისთავისათვის

მ. ლერმონტოვის გარდაცვალებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავად, სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილებით, მოსკოვსა და ლენინგრადში დასდგამენ დიდი რუსი პოეტის ძეგლებს. მოსკოვის წითელი კარის მოედანს ლერმონტოვის მოედანი დაერქმევა. პიატიგორსკში ეწყობა მ. ლერმონტოვის სახლი-მუზეუმი, მოსკოვში—პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესდება ლერმონტოვის სახელობის 10 სტიპენდია—თითო 400 მან.

სსრკ ხალხთათვის მ. ლერმონტოვის შემოქმედების ფართოდ გაცნობის მიზნით გამოიცემა პოეტის ნაწარმოებთა ოთხტომეული 100 ათასიანი ტირაჟით, რჩეული ნაწერების ერთტომეული 500 ათასიანი ტირაჟით. ცალკე წიგნებად გამოსცემენ ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირს“, „დემონს“, „მწირს“, „სიმღერას ვაჭარ კალაშნიკოვზე“, თვითეულს 300 ათასი ტირაჟით.

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი სცემს საიუბილეო საფოსტო მარკებს.

## სიჯანსაღისა და ძლიერების დემონსტრაცია

18 მაისი საქართველოს ფიზკულტურელთა რიგების დათვალიერების ტრადიციულ დღედ გადაიქცა.

ყოველი სასპორტო საზოგადოება, სკოლა გაცხოველებით ემზადება ამ დღისათვის. ყველას სწადია უკეთ, ლამაზად გამოვიდეს, უჩვენოს თავისი ძლიერება და მიღწევები შრომისა და თავდაცვისათვის მზადყოფნის საქმეში.

მიმდინარე წლის 18 მაისს გამართული ფიზკულტურელთა პარადი ამას ნათლად ადასტურებს. ეს პარადი, გასულ წლებთან შედარებით, საქართველოს ფიზკულტურელთა დარაზმულობის ბევრად უფრო ნათელი და ძლიერი დემონსტრაცია იყო.

ამინდიც ხელს უწყობდა, რომ დემონსტრაცია უფრო ლამაზი და მიმზიდველი ყოფილიყო. დილიდანვე მზიანი დარი დადგა. ლ. ბერიას სახელობის მოედანი მზად იყო ამ მრავალფეროვანი დემონსტრაციის მისაღებად. 10 საათისათვის მოედანზე უკვე თავს იყრიან ფიზკულტურელთა კოლონების მოწინავე რაზმები თავიანთი მედროშეებით. ფერადი დროშები უფრო მეტ სადღესასწაულო იერს აძლევენ ისედაც მორთულ მოედანს.

ახლო-მახლო ქუჩებში ფერად ფორმებში გამოწყობილი ფიზკულტურელები იდგნენ და პარადის დაწყებას ელოდებოდნენ.

მთავრობის ტრიბუნაზე იყვნენ **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, კ. შეროზია, ა. თოფურიძე, ი. თავაძე, მ. ჯაში, ს. იშხანოვი, ს. ხოშტარია, ა. რაფავა, ი. კოჭლამაზაშვილი, ზ. ჩხუბიანიშვილი, მ. ჩუბინიძე, კ. ბარიგიანი**, ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი **დ. კოზლოვი**, გენერალ-ლეიტენანტი **პ. ბატოვი, ვ. ეგნატაშვილი, ე. ჩერქეზია, ა. კვაჭაძე, გ. გოჩაშვილი, ბ. ლელინი, მ. ბარამია, მ. დელბა, გ. თვალჭრელიძე, დ. დავითაძე, ვ. ცხოვრებაშვილი, ვ. ხუბაევი, გ. ალავიძე**, აკადემიკოსი **ნ. კეცხოველი, ი. აბაშიძე, ლ. ქიაჩელი, ა. ხორავა, ა. ვასაძე, ვ. ქაქუჩაია, ი. წიკლაური, გ. გორდეზიანი, ს. მაჭავარიანი, გ. ელისაბედაშვილი, ს. დონაძე, გრ. კიკნაძე, ნ. ჟვანია, გ. ცქიტიშვილი, ა. წიკლაური, ნ. გელაძე, მ. გეწაძე**, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლები, გამოჩენილი სტახანოველები.

**ბერიას** სახელობის მოედნის ირგვლივ ქვაფენილები სავსეა ფიზკულტურის დღესასწაულის სანახავად მოსული ხალხით. აქ არიან თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მოწინავე სტახანოველები, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები, წითელი არმიის მეთაურები და სხვ.

10 საათსა და 30 წუთზე რადიო აცნობს მოედანს ალლუმის დაწყებას.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. მირცხულავა და საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე თ. სხირტლაძე იღებენ ალლუმს. შემდეგ ისინი ტრიბუნიდან სიტყვებით ესალმებიან ალლუმის მონაწილე ფიზკულტურელებს.

იწყება ალლუმი.

სადღესასწაულო მარშით მოედანზე გამოდიან ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის და **ლ. ბერიას** სახელობის ტექნიკუმის სტუდენტები. მზისაგან დამწვარი მაგარი მკლავები უფრო და უფრო მაღლა სწევენ ფერად დროშებს.

მოედანი ვაშას ძახილით და ტაშის ცემით ხვდება ფიზკულტურელთა ამ გამოსვლას. ტრიბუნებიდან გაისმის მხურვალე მისალმებები:

— გაუმარჯოს საბჭოთა ფიზკულტურელების დიდ მეგობარს ამხანაგ **სტალინს.**

— გაუმარჯოს ქართველი ხალხის სახელოვან შვილს ამხანაგ **ბერიას!**

—გაუმარჯოს საბჭოთა ახალგაზრდობას!

— გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა უძლეველ წითელ არმიას!

ფიზკულტურელები ერთხმად უპასუხებდნენ მისალმებებზე. კოლონებიდან გაისმოდა აღფრთოვანებული შეძახილები:

— დიდ **სტალინს** ფიზკულტ—ვაშა!

— ფიზკულტურული სალამი ამხანაგ **ბერიას.**

ეს შეძახილები თანდათან ედებოდა მთელს მოედანს, ძლიერდებოდა და ბოლოს უზარმაზარ ამოძახილად იქცეოდა ხოლმე.

მხურვალე ტაშით შეეგებნენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთისა და ქუთაისის ფიზკულტურელთა კოლონების გამოჩენას მოედანზე.

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ფიზკულტურელები გამოხატავდნენ წითელი არმიის განუყრელ კავშირს საბჭოთა ხალხთან.

განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა მოედანზე თეთრ ტანისამოსში შენიღბულად გამოსულმა წითელ არმიელთა ჯგუფმა. მათში მრავალი იყო თეთრფინელებთან გმირული ბრძოლის მონაწილე.

კოლონა კოლონას მისდევს. სხვადასხვა ფერი, სილამაზე და გამომგონებლობა ახასიათებს ყოველ მათგანს.

ალლუმს ამთავრებს **ლენინის** ორდენოსანი სასპორტო საზოგადოება „დინამო“. საზოგადოების დროშას მოაფრიალებს თავისუფალი ჭიდაობის აბსოლუტური ჩემპიონი მეკოკიშვილი.

ტრიბუნის წინ ჩერდება დეკორირებული ავტომანქანა, რომელზედაც „დინამოს“ წარჩინებული სპორტსმენები არიან. დინამოელები პატაკს იძლევიან ახალ მიღწევებზე და აცხადებენ, რომ ყოველ წუთს მზად არიან მკერდით დაიცვან საყვარელი სამშობლო.

ალლუმი დამთავრდა.

იწყება დღესასწაულის მეორე ნაწილი — მასობრივი სასპორტო-სატანვარჯიშო გამოსვლები.

რამდენიმე წუთით დაცარიელებულ მოედანზე გამორბის პატარა მოტოციკლეტი, რომელსაც ნორჩი მოტოციკლისტი მართავს. მოტოციკლზე მიმაგრებულ გალიიდან ბავშვი აფრენს მტრედებს. ეს ნიშანია. მოედანზე ჩნდებიან თბილისის სკოლის მოსწავლეები. ისინი იწყებენ თავისუფალ ვარჯიშს თემაზე: „ჩვენც მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის“

შემდეგ დაიწყო სამხრეთ-ოსეთის ფიზკულტურელთა დელეგაციის გამოსვლა. მათი ვარჯიშის თემა იყო: „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის“. ეს თემა ოსტატურად იყო გაშლილი ძველი ოსური ხალხური თქმულების — ნარტებთან ბრძოლის მასალაზე, რაც გამარჯვებული ხალხის მხიარული ცეკვით დასრულდა.

დარაზმულად გამოვიდნენ ქუთაისის ფიზკულტურელები. მათ გვიჩვენეს ტანვარჯიშისა და წრთვნის მაღალი კლასი.

„აყვავებული აჭარა მზად არის შრომისა და თავდაცვისათვის“,—ასეთი იყო თემა აჭარელ ფიზკულტურელთა ინსცენირებისა.

რთული, ლამაზად დამუშავებული ინსცენირება გაითამაშეს აფხაზეთის ფიზკულტურელებმა. მათი მასობრივი ვარჯიშის თემა იყო: „თუ მტერი თავს დაგვესხა“...

მასობრივი ვარჯიში დასრულდა თბილისის ფიზკულტურელთა ინსტიტუტის სტუდენტების ვარჯიშით თემაზე: „სამშობლოსათვის, **სტალინისათვის, წინ!“**

საქართველოს ფიზკულტურელთა დღესასწაული, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ჯანღონით აღსავსე 25.000 ახალგაზრდა, საუცხოო დემონსტრაცია იყო იმისა, რომ ახალგაზრდების ეს არმია არის საბჭოთა ხალხის შეიარაღებული ძალების მძლავრი, საიმედო რეზერვი.



ფიზკულტურელთა დემონსტრაციის მონაწილენი ლ. ბერიას სახელობის მოედანზე.

## შეხვედრა პოეტ გიორგი ლეონიძესთან

საგარეჯოს რაიონული გაზეთის „სტალინური სიტყვის“ რედაქციის ინიციატივით მოეწყო რაიონის პრესის მუშაკთა შეხვედრა სტალინური პრემიის ლაურეატ, ორდენოსან პოეტ გიორგი ლეონიძესთან.

კვირას, 18 მაისს, საგარეჯოს კულტსახლი სავსე იყო პოეტის შემოქმედებით დაინტერესებული ხალხით.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მდივანმა ვ. პაქსაშვილმა.

გიორგი ლეონიძის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა დ. ბენაშვილმა. სიტყვები წარმოსთქვეს ბ. ჟღენტმა, ლ. ასათიანმა, გ. აბზიანიძემ, ნ. ასათიანმა და საშუალო სკოლის მოსწავლემ ნ. ფანოზიშვილმა.

გ. ლეონიძისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს მ. ციციშვილმა, ი. როსტიაშვილმა და სხვ.

გიორგი ლეონიძემ წაიკითხა რამდენიმე ლექსი. ხალხი მხურვალე ოვაციებით ხვდებოდა პოეტის მიერ ყოველი ლექსის წაკითხვას.

დაბოლოს მოეწყო საკონცერტო განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პატარძეულის და საგარეჯოს სკოლების მომღერალთა თვითმოქმედმა გუნდებმა და კულტურულ სახლთან არსებულმა ეთნოგრაფიულმა ანსამბლმა.

## სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების საღამო

20 მაისს **სტალინის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ორდენოსანი პოეტის სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების საღამო.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდა დიმიტრი ბენაშვილი. მომხსენებელმა დაახასიათა სიმონ ჩიქოვანის პოეტური განვითარების გზა, ის ბრძოლა, რომელსაც პოეტი აწარმოებს მაღალი პოეტური აზრისა და სიტყვის დაუფლებისათვის. მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა ს. ჩიქოვანის ბოლო დროის მიღწევებზე, მის ახალ ლექსებზე.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაზე სიტყვები წარმოსთქვეს ლევ. ასათიანმა და ბეს. ჟღენტმა.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სტუდენტმა ქალმა ცქიტიშვილმა.

დემნა შენგელაიამ წაიკითხა ნაწყვეტი თავის ახალი ნაწარმოებიდან.

ს. ჩიქოვანის ორი ლექსი წაიკითხა სტალინური პრემიის ლაურეატმა გ. ლეონიძემ. სიმონ ჩიქოვანის ლექსები წაიკითხეს პოეტებმა—ს. თავაძემ, გ. კაჭახიძემ, ალ. გომიაშვილმა, ი. ნონეშვილმა და ალ. საჯაიამ.

ქართველ სტუდენტობას მხურვალედ მიესალმა რუსი პოეტი პ. ანტოკოლსკი, რის შემდეგაც წაიკითხა რუსულად თარგმნილი ს. ჩიქოვანის ლექსები. სტუდენტობას მიესალმა აგრეთვე რუსი პოეტი ქალი მ. ალიგერი. სიმონ ჩიქოვანისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა სტუდენტმა მესხიშვილმა.

დასასრულ, სიმონ ჩიქოვანმა წაიკითხა საკუთარი ლექსები: „სტუდენტთა ქალაქი“, „იჭვი“, „წიგნი ჟამთა აღმწერელისა“ და „გვანცა“.

## „ქართული თეატრის ისტორია“ რუსულად

მოსკოვში სახელმწიფო გამომცემლობა „ისკუსტვომ“ გამოსაცემად მიიღო საქართველოს თეატრალური მუზეუმის მუშაკთა მიერ შედგენილი „ქართული თეატრის ისტორია“.

თეატრის ისტორია შვიდი ნაწილისაგან შესდგება. წიგნში მოთავსებული იქნება შემდეგი წერილები: დ. ჯანელიძის „ძველი ქართული თეატრი და სანახაობანი“, სერგო გერსამიას „მე-18 საუკუნის თეატრი“, დიმ. ჯანელიძის „მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის თეატრი“, სერგო გერსამიას „გიორგი ერისთავის თეატრი“, მიხეილ ხელთუბნელის „ქართული პროფესიული თეატრის აღდგენა 80-იან წლებში“, აკაკი ფალავას „ქართული თეატრი 1885 წლიდან თებერვლის რევოლუციამდე“, გუგული ბუხნიკაშვილის „თეატრალური ხელოვნება საბჭოთა საქართველოში“.

ყოველი განყოფილება მდიდრულად არის დასურათებული. წიგნს დართული აქვს ბიოგრაფიები და წინასიტყვაობა და გამოდის ლეო ესაკიას რედაქტორობით.

# ვალერიან გაფრინდაშვილის დაუბეჭდავი ლექსები

## 1941 წლის 1 იანვარი

[illegible]

## ფიქრი ლექსებზე

[illegible]

ტფილისი, სექტემბერი. 1940 წელი.

## წყარო

[illegible]

30 აგვისტო. 1938 წელი.
ბორჯომი.

# ალეკო შენგელიას ლექსები

გიორგი ქაჯაიძე

[illegible]

...შენგელიას ლექსებში, სამწუხაროდ, უგულებელყოფილია. ამას ახალგაზრდა პოეტმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ბუნება ყოველთვის აძლევდა პოეზიას ფერსა და ლაზათს. ბუნება ალეკო [illegible]

[illegible] ანი ნანგრევები... ღამეც კი გმირთა დიდებაზე უმღერის პოეტს. ალეკო შენგელიას სწამს ამ გმირთა უკვდავება, და მიმართავს მათ:

„ქართული ზეცის ლამაზ ვარსკვლავებს
თქვენი სახელი შეეფერება“.

[illegible] შაობა პოეტის თემატიკურ რკალსაც გაამრავალფეროვნებს. ამ გზას უნდა გაჰყვეს ახალგაზრდა პოეტი, თორემ სერიოზული საფრთხე მოელის მის შემოქმედებითს განვითარებას.

# „განთიადის წინ“ — მეორე წიგნი

სახელგამმა ახლახან გამოსცა ელიზბარ პოლუმორდვინოვის რომანი „განთიადის წინ“. ეს წიგნი განზრახული ეპოპეის პირველი ნაწილია.

ავტორი ახლა მუშაობს რომანის მეორე ნაწილზე. ამ მეორე წიგნში ასახული იქნება საქართველოში მენშევიკების ბატონობის დასასრული წლების მოვლენები. რომანზე მუშაობას ავტორი მიმდინარე წელს დაამთავრებს.

# ქართველ მსახიობთა ბიოგრაფიები

საქართველოს თეატრალურმა მუზეუმმა გადასწყვიტა გამოსცეს ქართული თეატრის კორიფეების მოკლე ბიოგრაფიები პორტრეტებითურთ. უკვე იბეჭდება და მალე გამოვა ქართველი დიდი მსახიობის ვანო სარაჯიშვილის ბიოგრაფიის წიგნი. მომავალში განზრახულია გამოიცეს მაკო საფაროვი-აბაშიძის, ლადო მესხიშვილის, ვასო აბაშიძის, ნატო გაბუნია-ცაგარელის, ზაქარია ფალიაშვილის, ვალერიან გუნიას, კოტე ყიფიანის და კოტე მესხის ბიოგრაფიები.

# პირველი ქართველი მსახიობი რუსულ სცენაზე

საქართველოს თეატრალური მუზეუმის უფროსი მეცნიერი მუშაკი ამხ. სერგო გერსამია ამჟამად სწერს საინტერესო ისტორიულ ნარკვევს, რომელიც შეეხება პირველი ქართველი მსახიობის სილა ნიკოლოზის-ძე სანდუროვის მოღვაწეობას რუსულ სცენაზე.

ეროვნებით ქართველი სილა სანდუროვი რუსულ სცენაზე (მოსკოვსა და პეტერბურგში) მოღვაწეობდა მე-18 საუკუნის მიწურულში და მე-19 საუკუნის დასაწყისში. თავისი დროისათვის უდიდესი მსახიობი სანდუროვი რუსულ თეატრის ისტორიაში შესულია ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურად.

# კალე ბობოხიძის შემოქმედებითი საღამო

**სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო პოეტ კალე ბობოხიძის შემოქმედებითი საღამო.

საღამო გახსნა პროფ. მიხეილ ზანდუკელმა. შესავალი სიტყვა პოეტის შემოქმედების შესახებ წარმოსთქვა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა კ. ფაღავამ.

კალე ბობოხიძის შემოქმედებაზე მოხსენება გააკეთა დ. გამეზარდაშვილმა.

სიტყვით კ. ბობოხიძის შემოქმედებაზე გამოვიდა სტუდენტი მაჭავარიანი.

დასასრულ ლექსებით გამოვიდა კალე ბობოხიძე.

# „ჯონქა ხორნაული“

ალ. ჭეიშვილი

სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი.

ჯონქა ხორნაული ხელისგულის ოდენა სარკის წინ დგას. პირველად თავის სიცოცხლეში იკეთებს ყელსახვევს. ხელი უკრთის, ნასკვი მრუდე გამოუდის. ჯონქას მღელვარება ამხანაგებსაც გადაედო. ყველა ცდილობს მიეშველოს სიმწრის ოფლში გაწურულ ხორნაულს, მაგრამ შეუჩვეველი ხელები ვერ ეუფლებიან ამ დიდ ხელოვნებას.

—„უაილდი ამბობდა, ბიჭებო, — სთქვა ჯონქამ, — კარგად შენასკვული ყელსახვევი პირველი ნაბიჯიაო ცხოვრებაში ახალგაზრდა კაცისათვის.

— მიჰქარავდა შენი უაილდი, — ჩაიბუტბუტა ჩაგუმ. ჯონქას გაეღიმა.

— მეც ვიცი, — მიჰქარავდა“.

ეს რუხი, თეთრზოლებიანი ყელსახვევი, რომელიც მთელ რომანს გასდევს, როგორც სანიშნო რამ ნივთი, აქ, რასაკვირველია, ირონიულ პლანშია მოცემული.

მაგრამ მისი მატარებელი, ფშაველი ახალგაზრდა ჯონქა ხორნაული, ისტორიული ფაკულტეტის მეოთხე კურსს მიღწეული სტუდენტი ამ ვარდფურცლობის საღამოს მართლაც მნიშვნელოვან ნაბიჯის გადადგმას აპირებს. ჯონქა თავის კურსის სტუდენტის, მანანა ციხისელის დღეობაზეა მიწვეული. ჯონქა და მანანა უკვე რამდენიმე წელიწადია ერთად სწავლობენ და ერთმანეთს მეგობრობენ. მანანასადმი ტრფიალი ამ ბედუკუღმართ ყელსახვევზე ბევრად უფრო ადრე, თითქმის პირველი კურსიდან გაინასკვა ხორნაულის გულში. თითქოს მანანაც ჰგრძნობს ჯონქას გულის ნადებს, დღეს კი გადასწყვიტა განუცხადოს „დამალული გონებამან დაფარულმან“. ჯონქა ღელავს, მას აკლია თავდაჯერება. განსკუთრებით მაშინ, როცა მანანაზე ფიქრობს. მიუხედავად ხანგრძლივი მეგობრობისა, მანანა ციხისელს „რაღაც უპირატესობის გრძნობა ჰქონდა ჯონქასადმი“ — გვეუბნება ავტორი. მაგრამ არა მარტო ეს აკრთობს რომანის გმირს. დღეს მან პირველად უნდა შესდგას ფეხი მანანას მამის, პროფესორ დავით ციხისელის ოჯახში. ავტორის სიტყვით, „ხორნაულისათვის მანანას ოჯახში მისვლა ომის გადახდას ნიშნავდა“. იხსნება ფრჩხილები. მანამა „შთამომავლობით ინტელიგენტია“. „ციხისელების ოჯახიდან რამდენიმე ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე გამოსულა“.

პატრიარქალური ფშავურ ოჯახიდან გამოსული, ახალი ფორმაციის ინტელიგენტის, ჯონქა ხორნაულის შეხლა ამ „შთამომავლობით ინტელიგენტის“ ოჯახთან და აქედან წარმომდგარი წინააღმდეგობა უნდა წარმოადგენდეს, კ. ხიმშიაშვილის განზრახვით მისი რომანის მთავარ საკონფლიქტო კვანძს. აქ, ერთი შეხედვით, თითქოს მიგნებულია რაღაც ახალი კოლიზია, ახალი დაპირისპირება.

ცნობილია, თუ რა გამძლეობის უნარი აქვს ძველ იდეებს და წარმოდგენებს. ისინი ბუდობენ ადამიანის თავში მაშინაც კი, როცა ჟამთა სვლას მათი არსებობისათვის ყოველგვარი საფუძველი გამოუცლია. პიეტეტი, მოწიწება ძველი, გვაროვნული არისტოკრატიის საზოგადოებრივ და ოჯახურ ტრადიციების მიმართ ცოცხლობს არა მარტო ამ კლასის უკანასკნელ ნაშიერების წარმოდგენაში. ევროპის ბურჟუაზია, რომელმაც ცხოვრებიდან გარიყა ფეოდალური არისტოკრატია, დღესაც ელოლიავება არისტოკრატიულ ყოფითს იდეალს. ბურჟუაზიული ქედ-მაღლობა, გოროზობა მუდამ დიდის გატაცებით ირთვებოდა მის მიერვე საზოგადოებრივ ასპარეზიდან განდევნილ არისტოკრატიის ძველმანებში.

ეს წინააღმდეგობა ადამიანის იდეათა, წარმოდგენათა და ისტორიული განვითარების ტენდენციებს შორის ასაზრდოებდა 19-ე საუკუნის ევროპულ ლიტერატურას.

ცხოვრებისაგან მოწყვეტილ, ისტორიის ჩარხის ბრუნვით ნიადაგ გამოცლილ რამდენ იდეალს აქვს გასავალი ბურჟუაზიული საზოგადოების პიროზებში. მაგრამ მწერალს შეუძლია თავის ნაწარმოებს საფუძვლად დაუდოს მხოლოდ ისეთი წინააღმდეგობა, შეუსაბამობა იდეალსა და სინამდვილეს შორის, რაც მოარულია გარკვეულ ისტორიულ პირობებში, განმტკიცებულია საზოგადოების თუნდაც მცირე ნაწილში.

საბჭოთა ადამიანმა საკმაოდ ჩამოიფერთხა ძველი ცხოვრების მტვერი, მაგრამ მისი შეგნებაც ჯერჯერობით არ არის სავსებით თავისუფალი ძველი წარმოდგენებისაგან. ჩვენს სიტყვა-ხმარებაში კიდევ ხშირად შევხვდებით ასეთ გამოთქმებს „ძველი კარგი ოჯახი“ „კარგად ნაცხოვრები ადამიანი“, „ნამდვილი არისტოკრატიულ ბუნების ადამიანი“ (არც ის არის გამორიცხული, რომ ზოგი ვინმე ამ ჟამგადასულ წარმოდგენებს თავის იდეალად სახავდეს), მაგრამ საეჭვოა, რომ ვინმე ხმარობდეს ჯონქა ხორნაულის იდეალად ქცეულ ცნებას „შთამომავლობითი ინტელიგენტი“. არსებობს გამოთქმა „ნამდვილი ინტელიგენტი“, რომლის ქვეშ ჩვეულებრივად იგულისხმება შინაგანი კეთილშობილება, მაღალი ინტელექტუალური ინტერესებით ცხოვრება. ჩვენმა ეპოქამ გარკვეული იდეური შინაარსი მისცა ამ ცნებას, გააფართოვა ის „ნამდვილი საბჭოთა ინტელიგენტის“ ცნებამდე. მაგრამ თუნდაც ზოგადად აღებული „ნამდვილი ინტელიგენტი“ ჩვენს წარმოდგენაში არასოდეს არ უკავშირდება შთამომავლობას, გენეალოგიას.

„შთამომავლობითი ინტელიგენტი“, ჯონქას წარმოდგენით, თითქოს იქიჯნება არისტოკრატიზმის იდეალს. ავტორის ერთგვარი მანერული თქმით, ამ შთამომავლობით ინტელიგენტის „უამრავ წვრილმანებისაგან შემდგარი ქცევა ჰქმნის პიროვნების „გეშტალტს“. რომანის მთელი შინაარსი კი გვარწმუნებს, რომ აქ არ არის მოცემული რაიმე ახალი კოლიზია, დაპირისპირება, რომ ეს „შთამომავლობითი ინტელიგენტის“ იდეალი წმინდა წყლის ბურჟუაზიულ-მეშჩანური“, „bon ton“-ის, „comme il faut“-ის იდეალია. ეს „შთამომავლობითი ინტელიგენტი“ დავით ციხისელი ნამდვილად დიდი არამზადა აღმოჩნდება. ძველი თაობის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის წარმომადგენლად საბოლოოდ გვევლინება ეგნატე ლაზიშვილი, რომელიც გულწრფელად არის მოსული საბჭოთა ხელისუფლებასთან. „შთამომავლობითი ინტელიგენტის“ და ახალი, საბჭოთა ფორმაციის ინტელიგენტის ეს დაპირისპირება იხსნება, როგორც რომანის მთავარი გმირის აბერაცია. მაგრამ ხორნაულისათვის ეს ცხადი ხდება მხოლოდ რომანის დასასრულს. ახლა კი, როცა რომანის კარი იხსნება, საკითხავია, თუ რა მოაქვს ჯონქა ხორნაულს დავით ციხისელის ოჯახში, როგორია მისი შინაგანი, იდეური სამყარო, როგორია მისი იდეალები. მთავარი გმირის შინაგანი პროფილი, მისი მისწრაფებები, სიტუაციები, რომლებშიც აყენებს მას ავტორი, საბოლოო ანგარიშში, უნდა განსაზღვრავდნენ ნაწარმოების იდეურ შინაარსს.

ჯონქა ხორნაულის შინაგანი სამყარო ერთობ ბუნდოვანად მოსჩანს რომანში. ავტორი გვამცნობს, რომ პატრიარქალურ ფშაურ ოჯახში მას დუხჭირი ბავშვობა გამოუვლია, თითონ გაუკაფავს გზა უმაღლეს სასწავლებლისაკენ. კომკავშირის უჯრედს „ჯერ კიდევ ადრე ჭაბუკობისას დაუნერგავს მის გულში წარუშლელი სიძულვილი“ „ბურჟუაზიულ ჩვევებისადმი“, იგი თითქოს მოწინავე სტუდენტია. მაგრამ ყველაფერი ეს გმირის ბიოგრაფიის ასე ვთქვათ „პრეისტორიულ პერიოდში“ იკარგება. რომანის დასაწყისში კი, როცა ჯონქა „გახამებულ საყელოთი, კისერგაშეშებული, უკანასკნელი მოდის მიხედვით შეკერილ ლურჯ კოსტუმში გამოწყობილი შედის დავით ციხისელის ოჯახში, მთელი მისი არსება რაღაც ამ „შთამომავლობით ინტელიგენტის“ ცნებასთან დაკავშირებულ „სრულყოფილი, ჰარმონიული პიროვნების“ იდეალით ამოიწურება. მის შინაგან სამყაროს ჩვენს პირობებში თითქმის არაფრის მთქმელი ეს აბსტრაქტული მისწრაფება განსაზღვრავს. რატომღაც ამ „სრულყოფილი ადამიანის“ იდეალის განხორციელებას ჯონქა სჭვრეტს მანანა ციხისელის პიროვნებაში. ჯონქა ადამიანის სიდიადეს ზომავს მანანასთან ახლო დგომით. სწრაფვა სრულყოფისაკენ ჯონქასათვის ნიშნავს, გახდე მანანას ღირსი. მანანას გარემოცვა, დავით ციხისელის ოჯახი თითქოს უნდა გახდეს ჯონქასათვის „სრულყოფილ ადამიანობის“ სკოლად. იგი აქ მოდის მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ „ისწავლოს, შეიძინოს ის, რაც აკლია“.

ჯონქა ხორნაული შესდგამს ფეხს დავით ციხისელის დარბაზში, სადაც ამ საღამოს შეკრებილა ჯონქას საოცნებო „ქართული შთამომავლობითი ინტელიგენციის მთელი ახალგაზრდობა“. რაში ხედავს ჯონქა ასეთ კატეგორიის ინტელიგენტების განსხვავებას სხვა ინტელიგენტებისაგან?

„აქ ყველას კარგად ეცვა, ვაჟები ყელსახვევებით იყვნენ, სუფთად, პირგაპარსულები, ხოლო ქალებს ზომიერად ეცხოთ ფერუმარილი.... აქ ყველანი თავისუფლად გრძნობდნენ თავს, მაგრამ ახალგაზრდობისათვის ჩვეული ღრიანცელი არ ისმოდა. ორ-სამ ქალვაჟისაგან შემდგარი ჯგუფები ხმადაბლა, მხიარულად, ძალდაუტანებლად საუბრობდნენ“.

შემდეგში ჯონქა ბევრ ნაკლს ამჩნევს ამ ახალგაზრდებს, რაც მას იმედს უცრუებს და ათქმევინებს: „ესეც შენი შთამომავლობითი ინტელიგენცია“. მანანა კი რომანის უკანასკნელ თავამდე, სანამ ჯონქას პირში ჩალაგამოვლებულს არ დასტოვებს და თამაზ იათიძეს არ გაჰყვება, არ ჰკარგავს ჯონქას თვალში ამ „სრულყოფილი, ჰარმონიული პიროვნების“ შარავანდედს. მანანა ჯონქასათვის რაღაც დიდი სფინქსია. „მანანას ძნელად გაუგებდი... რადგან მას შეეძლო გაჩუმებულიყო, როცა ყველა იცინოდა და, პირიქით, მწვანე თვალები ხშირად დაცინვით უკრთოდნენ, როცა ძლიერ სერიოზულად ელაპარაკებოდი. მან უთუოდ კარგად იცოდა, ვისთან როგორ უნდა მოქცეულიყო, მაგრამ ჯონქას ღრმად სწამდა — მანანა არასოდეს თამაშობდა, არ ცდილობდა თავი სხვაგვარად მოეჩვენებია“.

ჯონქას ატყვევებს მანანას თავდაჯერა, რომანის ერთი გმირი ქალის ციცინო ამილახვრის თქმით, მანანას ხასიათის მთავარი შტრიხია „მეტის, რაც შეიძლება მეტის მოთხოვნილება“. რა არის ეს დიდი მოთხოვნილება, რომელსაც მანანა უყენებს ადამიანებს? „ვინც თეთრ საყელოს ატარებს, — ამბობდა მანანა,—ტანი უთუოდ სუფთად უნდა შეინახოს, ხოლო თუ პროფესორს ფეხის სუნი ასდის — შეუძლებელია მისი ლექციების მოსმენა, ყოველთვის ხომ დიდი აუდიტორია არ შეგხვდება“. როგორც ხედავთ. მანანას სულიერი ავლადიდება კურდღელსაც აეკიდება.

მანანა არსებითად გუდაფშუტაა, მაგრამ ჯონქა მძიმედ, ერთობ მძიმედ სწვდება ამ მარტივ ამბავს. იგი მხოლოდ ზოგჯერ და ისიც ბუნდოვნად გრძნობს, რომ ეს გატაცება აშორებს მას საბჭოთა ახალგაზრდობის სწორ გზას.

ამ შინაარსისაგან დაცლილი „სრულყოფილი ადამიანის“ იდეალით თავგაბრუებული ჯონქა ადვილად ექცევა მავნებელ ალფეზის გავლენის ქვეშ. მას შეიპყრობს განდიდების სურვილი.

სახელმწიფო ხარჯზე აღზრდილი ჯონქა უარს ამბობს განსახკომის საგზურით მშრომლიურ კუთხეში მასწავლებლად წასვლაზე. მას, ერთ დროს წესიერ და სანიმუშო სტუდენტს, ელის ამხანაგებისა და საყვარელი პროფესორის გაკიცხვა, კომკავშირის რიგებიდან გარიცხვა. ჯონქა კი ყველაფერს ამ „სრულყოფილ ადამანის“ თვალსაზრისით ზომავს. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას კითხვას უსვამს თავის თავს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში „სრულყოფილი“ ადამიანი.

ჯონქა თითონ გრძნობს, თუ როგორ გაუმრუდა ცხოვრების გზა ამ უიღბლო სიყვარულმა და ამ უაზრო იდეალმა.

ნაწარმოების ნაკლი ის კი არ არის, გმირს რომ დროებით ცხოვრების გზა გაუმრუდდება, რომ იგი წაიფორხილებს და დაეცემა. ჩვენი ცხოვრება და ლიტერატურა ყოველდღიურად იძლევა იმის უამრავ მაგალითს, რომ სხვა საზოგადოებრივი წყობის პირობებში გამოუსწორებლად მიჩნეული ელემენტებიც კი ებმებიან შემოქმედებითს შრომაში, ხდებიან სოციალისტური საზოგადოების აქტიურ ადამიანებად. ჯონქა ხორნაული კი მთელი თავისი არსებით ჩვენი საზოგადოების პირმშო შვილია, ჩვენი სინამდვილის მიერ ცხოვრებაში გამოყვანილი. მაშ, რატომ ეჩვენება მას პატარა მეშჩანური წუმპე დიდ საკაცობრიო იდეალების ოკეანედ? რატომ ასე უჭირს ჯონქას შემობრუნება, სწორ გზაზე დადგომა? რატომ უძნელდება იმ ბურუსისაგან თავის დაღწევა, რომელშიაც ის გახვეია მანანასადმი ტრფობამ? შეიძლება ეს კითხვა სხვა გვარადაც გამოვთქვათ: რატომ უჭირს ავტორს თავისი გმირის გარდაქმნა?

ამ რომანს არ აკლია მოძრაობა, ნივთებისა და ადამიანების გადანაცვლება, ვნებიანი შეჯახებები, მომენტები, როცა ამა თუ იმ გმირის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ყოველი მოძრაობა როდი ქმნის მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედებას. აქ არ არის ის საქმე, ამბავი, სამოქმედო მიზანი, მთელი ნაწარმოების გამსჭვალავი მოქმედება, რომლის გარშემოც თავს იყრიან ხოლმე რომანის გმირები, რომელიც ნასკვავს მათ ურთიერთობას, რომლის გარშემოც გმირები ერთმანეთს ეჯახებიან, მთლიანად და სავსებით ამჟღავნებენ თავიანთ სახეს.

რომანის მთავარი გმირები სტუდენტები და პროფესორები არიან, თუმცა ავტორი იძლევა სტუდენტთა საყვარელი პროფესორის ეგნატე ლაზიშვილის და ენტუზიასტ სტუდენტის ჩაგუს სიმპატიურ სახეებს, მაინც სწავლის პროცესი ვერ არის ქცეული სიუჟეტის გამშლელ ქმედ ფაქტად (მიუხედავად იმისა, რომ რომანში მოცემულია გამოცდებისათვის მზადება და თვით გამოცდები).

მანანას დღეობა, რუსთაველის პროსპექტზე დაუსრულებელი სეირნობა, ნადირობა, რამდენიმე უმნიშვნელო სცენა საერთო საცხოვრებელში, ისევ პროსპექტი და უნივერსიტეტ-დამთავრებულ სტუდენტთა გამოსამშვიდობებელი ლხინი, იალაღები, — ამ სცენებს და ეპიზოდებს არა აქვთ შემკრები ცენტრი, ფოკუსი. ამიტომ სახეების გადაბმა, ერთმანეთთან დაკავშირება აქ უფრო იმპრესიონისტულია, ვიდრე რეალისტური.

ნაწარმოები მოკლებული არ არის უდაო მხატვრულ ღირსებას. მკითხველი ინტერესით მისდევს მთელ რიგ ოსტატურად შესრულებულ სცენებს, ეპიზოდებს. მის თვალწინ ამოიზრდებიან ხორცშესხმული სახეები, ხშირად პოეტური თვალით დანახული ბუნება, გმირის განცდებთან შეწყობილი პეიზაჟი. საგანთა სამყარო ჩართულია გმირის სულიერ ცხოვრებაში. მოხდენილადაა გახსნილი და გამოყენებული მხატვრული და მუსიკალური ფაქტურა. გახარებს, რომ კ. ხიმშიაშვილს ასე ემორჩილება ფრაზა, აქვს სიტყვის უხვი მარაგი, ამჟღავნებს დეტალის გრძნობას, მაგრამ ყველაფერი ეს ვერ დაუქვემდებარებია ერთ იდეურ მო[illegible]ისთვის.

# გოეთეს ლექსები

## მეთევზე

წყალი შხუოდა და ჭავლებს შლიდა,
ისმოდა ზვირთთა ნელი განგაში.
იჯდა გულგრილი მეთევზე მშვიდად,
უცქერდა ანკესს ჩაშვებულს ტბაში.
მყის შეტორტმანდნენ ტალღები ძლევით
გაიპო წყალის სარკე ნათელი
და შორ სიღრმიდან ნელი-ნელ რხევით
ამოტივტივდა დიაცი სველი.
იწყო სიმღერა ხმაშეწყობილად:
„კაცთათვის ჩვეულ მუხანათ ზრახვით
რისთვის იზიდავ შენსკენ ჩემს ჯილაგს,
ამ აუტანელ პაპანებაში?
აჰ, რომ იცოდე, ტალღათა თქეშში
თავს რა მშვენივრად გრძნობს თევზი ლაღი,
ჩამოხვიდოდი შენც მდინარეში
და გახდებოდი უფრო ჯამსაღი.
„განა არ სტკბება ლურჯი ზღვის ცქერით
თვით ბადრი მთვარე და მზე სხივმნათი?
ტალღათა სუნთქვით მათი იერი
განა არ ხდება უფრო დიადი?
ღრმა ცის მშვენებით არ გითრთის გული
ან არ გიტაცებს ლაჟვარდი ვრცელი?
და მარადიულ ცვარში ხილული
განა არ მოგწონს ხატება შენი?"
შხუოდა ტალღა ქაფმორეული,
ფეხს უსველებდა მეთევზეს წყალი.
და ევსებოდა წყურვილით სული,
ვით სალამის ჟამს გულის ტრფიალის.
მწველი სიმღერა ბურანში ხვევდა
და ულვიძებდა ლტოლვის ცეცხლს ახალს,
ჭაბუკი, თრთოდა ქალი იწვევდა,
და შემდეგ იგი არვის უნახავს. —

## სატრფოს სიახლოვე

მე შენზე ვფიქრობ, როდესაც მზე კამკამა ზღვიდან
შინათებს არეს.
მე შენზე ვფიქრობ, როცა წყარო, ბროლივით წმინდა
შეჰხარის მთვარეს,
მე შენ გიცქერი, როს ედება ქუჩის ნარვალებს
მტვერი საზარი,
როს ღრმა ღამეში მიმავალი თრთის და კანკალებს
უმწეო მგზავრი.
მე მაშინ გისმენ, როცა ზვირთი ჰქუხს შიშის
მგვრელად,
რისხვის მთოველი.
სმენადქცეული მივისწრაფი უდაბურ ველად,
როს სდუმს ყოველი.
მარად შენთან ვარ, რაგინდ იყვე შორეულ მხარეს,
გიცქერი, გხედავ.
მზე ჩადის, მალე ცას მთიები აელვარებს,
აქ იყვე, ნეტავ!

## მინიონ

იცი ქვეყანა, სად ლიმონი ყვავილობს ველად,
მწვანე ფოთლებში ფორთოხალი ოქროსფრად ელავს,
მოჰქრის შრიალით ლაჟვარდ ციდან ნიავი ნაზი,
მდუმარებს დაფნა და ეხვევა ხეს უსურვაზი.
იცი ეს კარგად და გიტაცებს შენ ეს მიდამო?
იქითკენ წამო, ჩემთან ერთად იქითკენ წამო!
იცნობ შენ იმ სახლს, მას ამშვენებს თაღი მაღალი.
დარბაზნი დიდნი ლაპლაპებენ ელვარე ალით.
დგანან ქანდაკნი და ახელენ თვალებს დარდიანს:
„რა გიყვეს, ბავშო, საცოდაო, რა დაგმართია?"
იცი ეს კარგად არ გიზიდავს შენ ეს მიდამო?
იქითკენ წამო, ჩემო კარგო, იქითკენ წამო!
იცნობ შენ იმ მთას, სად ისვენებს ღრუბელთა ჯარი,
სადაც მიიკვლევს სქელ ალმურში გზას სახედარი.
გვირაბში სცხოვრობს ვეშაპების მოდგმა ვერანი,
ინგრევა კლდე და მოჩხრიალებს გიჟი ჩქერალი.
იცი ეს კარგად? არ გიზიდავს შენ ეს მიდამო?
— გაგვიშვი, მამავ, იმ მხარეში, წავიდეთ, წამო!

თარგმნილი **ხარიტონ ვარდოშვილის** მიერ.

# ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის დაუწერელი ფურცლებისათვის

**მიხ. ხელთუბნელი**

1

„...ერთმა ქალაქის ჩინოვნიკის ცოლმა, რომელსაც ადევნა პოეტმა თავისი სიყვარული, პოეტის ჩანგი გასცვალა მეგრელ აფიცრების დეზებზე". გულმოდგინედ დაშიფრა რა ბარათაშვილის ცხოვრების ეს ეპიზოდი, იონა მეუნარგიამ[1]) მკითხველებს დაუმალა ამ ეპიზოდის მონაწილე პირთა ვინაობა. ქვემოთ დავინახავთ, რომ მას ამისათვის ერთგვარი საფუძველი ჰქონდა.

ის, რაც არა სთქვა მეუნარგიამ, გვითხრა მისმა უბის წიგნაკმა, რომელიც სოლომონ ცაიშვილმა ჯერ „ლიტ. საქართველოში" და შემდეგ „ლიტ. მატიანეს" 1940 წლის პირველ წიგნში გამოაქვეყნა.

მართლაც, ი. მეუნარგიას უბის წიგნაკში არის ნიკ. ბარათაშვილის ერთ-ერთი ნაცნობის (ჩოლოყაშვილის) პირიდან გაგონილი ჩანაწერი: „(ბარათაშვილს) უყვარდა ფალავანდოვის ცოლი, ამ ქალმა კი კონსტანტინე ფალავანდოვი ირჩია".

ფალავანდოვის სახელი ჩანაწერში ნახსენები არ არის, მაგრამ შეიძლება გამორკვეულ და დადგენილ იქნას, რომელს გულისხმობს ჩოლოყაშვილი ნიკ. ბარათაშვილის თანამედროვე, ჩვენთვის ცნობილ ოთხი ფალავანდიშვილიდან — ნიკოლოზს, მიხეილს, იასეს თუ ზაქარიას. როცა გასული საუკუნის 30-40-იან წლებში „ფალავანდოვზე" ლაპარაკობდნენ და სახელს არ ასახელებდნენ, ყველასათვის ცხადი იყო, რომ ლაპარაკობდნენ თბილისის სამოქალაქო გუბერნატორზე — მიხეილ იოსების-ძე ფალავანდოვზე... ამას ადასტურებს ჩოლოყაშვილის პირიდან მოსმენილი მეუნარგიას მეორე ჩანაწერიც, სადაც ლაპარაკია მიხ. იოსებ. ფალავანდოვზე სხვა შემთხვევის გამო, მაგრამ სახელი არც იქ არის აღნიშნული, იგი უბრალოდ, მხოლოდ „ფალავანდოვის" გვარით არის მოხსენებული. ამგვარად საკმაოდ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნულ ჩანაწერებში იგულისხმება მიხეილ ფალავანდოვის ცოლი — მარიამი (იგივე მაიკო).

კონსტანტინე დადიანის (1819-1889) პიროვნება კი ცნობილია: ეს იყო სამეგრელოს უკანასკნელი მფლობელის დავითის უმცროსი ძმა, ნიკოლოზ პირველის ფლიგელ-ადიუტანტი, რომელიც მეტწილად თბილისში ცხოვრობდა და მონაწილეობას იღებდა აქაურ იმდროინდელ ლიტერატურულ წრეებში. კონსტანტინე დადიანი გარდაიცვალა ცოტათი იმაზე ადრე, ვიდრე ი. მეუნარგია ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის თავის ჩანაწერებს დაამუშავებდა. რაც შეეხება მარიამს, მისი ქალიშვილი ელისაბედი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მაშინაც (გიორგი მოზდოკელის ცნობით, ელისაბედი გარდაიცვალა 1916 წ.), როცა ი. მეუნარგია ბარათაშვილის ბიოგრაფიას სწერდა, ალბათ, ამით აიხსნება, რომ ი. მეუნარგიამ შესაძლებლად არ დაინახა პირდაპირ დაესახელებინა დაინტერესებულ პირთა ვინაობა, რათა მათთვის სახელი „არ გაეტეხა".

მარიამ ფალავანდიშვილი იყო 1834 წელს გარდაცვლილ ლუარსაბ ორბელიანის ასული და მანანა ორბელიანის ქმრის მკვიდრი ძმისწული. მარიამი და მისი და ელენე ერისთავი („დიდი" ერისთავის რძალი) იმ პირველ ქართველ ქალთაგანი იყვნენ, რომლებმაც ევროპული განათლება მიიღეს: ეკატერინე ჭავჭავაძესა და ხუთ-ექვს ქართველ ქალიშვილთან ერთად ისინი ჯერ მ. ი. ლერმონტოვის ნათესავი ქალის პრასკოვია ახვერდოვას ხელმძღვანელობით იზრდებოდნენ, ხოლო შემდეგ მატილდა კასტელას ფრანგულ პანსიონში სწავლობდნენ.

მარიამი დაბალი ტანის, შავგვრემანი, ფაქიზნაკვთიანი სახის ქალი იყო. ის ნათესავად მოხვდებოდა ბარათაშვილს, ეკუთვნოდა იმ წრეს, რომელშიაც პოეტი ტრიალებდა, ამიტომ პოეტი მარიამს ბავშვობიდან იცნობდა. როცა მარიამი ცოლად გაჰყვა ნიკოლოზ ფალავანდიშვილს, კაცს, რომელსაც მოევლო ევროპა და ბევრი რამ ენახა თავის ცხოვრებაში, რომელიც წარჩინების საიმედო გზაზე იდგა, ნ. ბარათაშვილი განაგრძობდა მარიამთან და ელენესთან მეგობრობას სწორედ ისევე, როგორც იგი მეგობრობდა თავის წრის სხვა ახალგაზრდა ქალებს — ე. ი. ოხუნჯობდა მათთან, ართობდა, უწერდა მათ ალბომში ლექსებს, ედავებოდა მარიამსა და ელენეს მათი წლოვანების თაობაზე (ნ. ბარათაშვილის ეს ეპიგრამები პირველად დაიბეჭდა „სახალხო ფურცელში". 1916 წ., № 728).

ტრფიალი მარიამისადმი ნ. ბარათაშვილს ჩაესახა, ალბათ, 30-იანი წლების დამლევს ან 40-ანი წლების დამდეგს. იმავ ხანებში თბილისის საზოგადოებაში გამოჩნდა კონსტანტინე დადიანი. ძნელია თქმა, თუ რამდენად ღრმა და ძლიერი იყო ბარათაშვილის ტრფიალი, მაგრამ ის კი შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ თვითონ მარიამი, რომელიც პოეტზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, სერიოზულად არ უყურებდა პოეტის ტრფიალს. მხიარულმა, ლამაზმა ვაჟკაცმა, „ბრწყინვალე ოფიცერმა" კონსტანტინე დადიანმა მარიამის გულიდან ისევე ადვილად განდევნა ბარათაშვილი, როგორც მისმა უფროსმა ძმამ დავითმა ეკატერინე ჭავჭავაძის გულიდან იგივე ნ. ბარათაშვილი. დადიანები ბედისწერასავით გადაეღობნენ გზაზე ჩვენს დიდ პოეტს.

2

„იმპერატორი ნიკოლოზ პირველი რომ ჩამოვიდა ქალაქში, ნიკოს ქულაჯა ეცვა, — ქულაჯა ჟოლოსფერისა, ბეწვ-მოვლებული, ახალოხი ციაგი მკრთალი, შალვარი შავი მაუდისა, წაღა თეთრი ქართული, წვეტიანი. ხელმწიფეს ძლიერ მოეწონა ნიკო და უთხრა: შენ ჩემი ორდინარეცი ხარო!".

პოეტის დის ბარბარე ვეზირიშვილის[2]) ეს სიტყვები გაუგებარი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო არაპირდაპირი ცნობები, რომლებიც საშუალებას იძლევიან დავადგინოთ, თუ რა ვითარებაში შეიძლებოდა მომხდარიყო ნ. ბარათაშვილის შეხვედრა მრისხანე რუს იმპერატორთან.

ნიკოლოზ პირველი, რომელმაც თავისი კავკასიური მამულეზი შემოიარა, 1837 წ. 8 (20) ოქტომბერს თბილისს ჩამოვიდა. მეფის შეხვედრაში თავად-აზნაურობამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო: 24 ცხენოსანი ქართველი თავადი მოჰყვებოდა მეფის ეტლს ქალაქში შემოსვლისას. მეორე თუ მესამე დღეს თავადაზნაურობამ ნიკოლოზ პირველის პატივსაცემად ზუბალაშვილის ახალი უზარმაზარი სახლის (შემდეგ ამ შენობაში სემინარია იყო მოთავსებული, ახლა სასტუმრო „პალასია") დიდ დარბაზში ბალი გამართა. ბალი გაიმართა აგრეთვე ხელმწიფის გამგზავრების წინა დღეს, 11 (23) ოქტომბერს, მთავარმართებლის როზენის სასახლეში. ბალი გახსნა თავათ ნიკოლოზ პირველმა, იცეკვა სწორედ იმ მარიამ ფალავანდიშვილთან, რომელზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი. ამ ბალს დაესწრნენ ნინო გრიბოედოვა, ეკატერინე ჭავჭავაძე, მაიკო ორბელიანი.

ნიკოლოზ პირველს ძალიან არ უნდოდა, რომ ამიერ-კავკასიაში მისი მოგზაურობის მოწმე, გარდა მისი მახლობლებისა (მასთან ერთად, მაგ., ჩამოვიდა გერმანელი პრინცი გოგენლოე), სხვა ვინმე უცხოელი ყოფილიყო. თუ გავიხსენებთ იმას, რომ რამდენიმე დღით თბილისში ყოფნის დროს ნიკოლოზს ადმინისტრაციის ბოროტმოქმედებაზე ორი ათასზე მეტი საჩივარი მიართვეს, ჩვენთვის გასაგები იქნება, თუ რატომ არ სურდა მეფეს ასეთი ამბების მოწმედ ვინმე უცხოელი ჰყოლოდა. როზენმა სათანადო ინსტრუქციაც მიიღო, მაგრამ მან მაინც ვერ შესძლო შეეფერხებია იმ დღეებში ირანიდან მომავალი ინგლისელის ვილბრეემის თბილისს ჩამოსვლა. როზენი, რომელიც ძალაუნებურად უნდა შერიგებოდა თბილისში ვილბრეემის ყოფნას, იძულებული გახდა მიეწვია ინგლისელი ბალზე. თავის მოგზაურობის წიგნში (გამოცემულია 1839 წ.) ვილბრეემი სწერს, რომ თბილისში იმპერატორის ყოფნის დროს „სასახლეში შინაგანი მომსახურების მოვალეობას ეწეოდა ახალგაზრდა ქართველ თავადთა რჩეული ჯგუფიო". ინგლისელი დაწვრილებით აგვიწერს ახალგაზრდა თავადების ჩაცმულობა-მორთულობას: „კარგი აბრეშუმის ან ფარჩის მჭიდროდ მორგებულ ახალუხზე მათ ეცვათ მაუდის სამოსელი მოკლე სახელოებით. ისინი ატარებდნენ აღმოსავლურ განიერ შარვლებს, რომლებიც მუხლის თავებთან ჩატანებული ქონდათ შავს ვიწრო წაღებში. წელზე ეკიდათ მდიდრულად შემკული ხმალი და დამბაჩა, თავზე ეხურათ კრაველის დაბალი ქუდი" (გვ. 234).

აღსანიშნავია, რომ ვილბრეემს ეს აღწერილობა ჩაწერილი აქვს ნახულის უშუალო შთაბეჭდილებით, ბარბარე ვეზირიშვილმა კი იგი აღადგინა 82 წლის შემდეგ, როგორც ბავშვობისდროინდელი მოგონება, ან როგორც სხვისგან მოსმენილი ამბავი.

ზემონათქვამის მიხედვით ადვილად შეიძლება აღვადგინოთ ნიკოლოზ პირველთან პოეტის შეხვედრის შემდეგი სურათი:

მელიტონ ბარათაშვილს, როგორც თბილისის მარშალს (თავადაზნაურობის წინამძღოლს), ძალიან ახლო კავშირი ჰქონდა იმ ზეიმთან, რომლითაც თავადაზნაურობამ თბილისში ხელმწიფის ყოფნა აღნიშნა. მელიტონის ვაჟი ნიკოლოზი იყო იმ „რჩეულ" ახალგაზრდა თავადების რიცხვში, რომლებიც იმ დღეებში მუდმივად მთავარმართებლის სასახლეში იმყოფებოდნენ, მაშასადამე, სულ ხელმწიფის თვალწინ ტრიალებდნენ. მოუსვენარმა მელიტონმა, რომელიც მუდამ თავის გამოჩენას და წარჩინებას ცდილობდა, მიაღწია იმას რომ, ალბათ, მისი შვილი როზენმა ნიკოლოზ პირველს წარუდგინა. ნ. ბარათაშვილი ჭკვიანური, ცოცხალი, მეტყველი სახით, ღირსეული თავდაჭერით, რაც მას ჩვეოდა, არ შეიძლებოდა არ გამორჩეულიყო იმ ფუქსავატ და პირმოთნე ახალგაზრდა თავადებში, რომელთაც ირგვლივ ხედავდა ნიკოლოზ პირველი. გარდა ამისა, ბარათაშვილი იყო თავადაზნაურობის წინამძღოლის შვილი. ქართველი თავადაზნაურობა კი კავკასიაში ნიკოლოზის პოლიტიკური ანგარიშის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს წარმოადგენდა.

გახარებულ მელიტონს, ალბათ, მაშინვე შეატყობინეს, რომ შენი ვაჟი იმპერატორს მოეწონაო, ხოლო თავათ პოეტს კი ნიკოლოზ პირველმა უთხრა — შენ ჩემს ორდინარეცად გთვლიო.

[1]) ი. მეუნარგიას ბიოგრაფიული ნარკვევი პირველად დაიბეჭდა 1893 წ. „ივერიაში", შემდეგ—1922 წ. გამოცემულ ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულში.

[2]) ბარბ. ვეზირიშვილის მოგონება დაბეჭდილია ნ. ბარათაშვილის ლექსების 1922 წლის გამოცემაში.

# არშბა

**ლადო ავალიანი**

მატარებელი ნელი სვლით უახლოვდებოდა სადგურს. არშბა ვაგონის კარებში, კიბის თავზე იდგა. მოსულთა შესახვედრად სადგურის ბაქანზე მოფუსფუსე ხალხში ანაზდად ტაბალუას მოჰკრა თვალი. ტაბალუას, ეტყობოდა, უკვე შეენიშნა ის და ფრთხილად, მალულად უთვალთვალებდა. ამ უსიამოვნო ხილვამ არშბას გუნებაც შეუცვალა და იერიც. გაიფიქრა: უკანვე შებრუნებულიყო, მეორე მხრიდან ჩასულიყო, შორი გზა მოევლო, მოთვალთვალისათვის თვალი აერია, მაგრამ... გარდა იმისა, რომ ტალანში გაჭედილი ხალხი გზას ვერ დაუთმობდა, დამალვა, მხდალსავით გაპარვა არ შვენოდა. ასეთი აზრი არასოდეს თავში არ მოსვლია... თითონვე გაუკვირდა. ეს არ იყო ჩვეულებრივი შიში. შიში ვერც აიძულებდა მას, თუმცა იგი ჯერ არ განეცადა ისე ძლიერად, რომ მისთვის დაეთმო. ნაუცბათევი გადაწყვეტილება უმალვე უკუაგდო. ან-კი, ამ გადაწყვეტილებისამებრ რომ მოქცეულიყო, სად გაექცეოდა ტაბალუას თვალებს?

თავი შეიკავა, ხალხს დინჯათ ჩამოჰყვა. ნაბდის კალთები მჭიდროდ შემოიხვია ტანზე, შალის შავი ყაბალახი, რომლის ცალი ტოტი კისერზე ჰქონდა მოხვეული, წარბებამდე დასწია. თავდახრილმა, თითქოს „ის" სულაც არ შეენიშნოს, სწრაფად გადაირბინა მაზუთით გაშავებულ ქვიშაში ცივად ელვარე ლიანდაგის ჩამწკრივებული ზოლები...

სადგურს მიაშურა — მოგრძო ერთსართულიან ხის შენობას. ტალახით შეზიზნილ დაბალ ხის კიბეზე ხალხს მიჰყვა. ბუფეტიდან მგზავრების მოსაცდელ ოთახში გავიდა. ფოსტით ახლახან მოტანილი, „საბჭოთა აფხაზეთი" იყიდა. გაზეთი გაშალა, აიფარა. სათაურებს გადაავლო თვალი და... მალულად შემოსასვლელისაკენ გაიხედა. „ის" არსად სჩანდა. დამშვიდებულმა, კითხვით გატაცებულმა, ერთი წუთის შემდეგ ისევ შემოსასვლელს მიაპყრო თვალი. მერე გაზეთი დაკეცა, ჩოხის უბეში ჩაუშვა და ოთახიდან გავიდა. შეაჟრჟოლა: ქარს ძალა მომატებოდა. დეკემბრის სუსხიც უფრო საგრძნობი იყო. სწვავდა, თითქოს ნემსით ჩხვლეტდა სახეს უხილავი ხელი. „იქნებ თოვაც დაიწყოს ამაღამ... ღროა!" გაიფიქრა და ცას გახედა. ალვის ხეების კენწეროებამდე დაშვებულ ბურუსს ამოევსო ცის უზარმაზარი თალი...

ავტობუსი მატარებლის მოსვლის დროს აკარმარაში მიმავალ მგზავრებს მოსაცდელთან ჩვეულებრივად არ დახვედრია. არშბა სხვებზე უფრო დაალონა ამ ამბავმა. ერთხანს უცადა, მგზავრებს მუსაიფი გაუბა. მერე წინდაუკან სიარულს მოჰყვა, მაგრამ გული მაინც ვერ დაიყოლია, ვერ მოისვენა. ბოლოს რომ მოსწყინდა და სუსხმაც შეაწუხა, გარედ სიცივეში ლოდინს მახლობელ სასადილოში შესვლა ამჯობინა.

დერეფანივით წაგრძელებულ სასადილოს დაბალ, შეუღებავ ფიცრის ჭერზე სამგან კიაფობდა პატარა ელნათური და კვერცხის გულივით მუქ, ყვითელ შუქს ჰფენდა იქაურობას. ბუზებს ისე დაეწინწკლათ შავი წერტილებით ნათურების ზედაპირი, რომ სხივები ძლივსღა ატანდნენ წინწკლებს შუა დარჩენილ ჭუჭრუტანებში. დაბალ ჭერქვეშ, ჰაერში, იდგა საჭმელების სუნი და პაპიროსის ბოლი—აქა-იქ მუქი ნაცრისფერი, აქა-იქ კიდევ თხელი-მოლურჯო. მიმოსვლაზე, ხელის მოძრაობაზედაც-კი ბოლი შესამჩნევად ირხეოდა, იკუმშებოდა და ისევ ზანტად იფანტებოდა.

არშბამ ფრთხილად მიხურა კარი. იგი გრძნობდა — ნაბადს შემოყოლილი სუსხი როგორ ნელდებოდა და ქრებოდა საჭმლის სუნით შეზავებულ სასადილოს თბილ ჰაერში. არშბამ ნაბდის საყელოს თასმები შეიხსნა, შვებით ამოისუნთქა, იქაურობა მოათვალიერა. ხალხს ბლომად მოეყარა თავი. უსიამოვნო ხმაური, ლაპარაკი სხვადასხვა ენაზე, კილოზე და ხმაზე, სიცილი, უეცარი შეძახილი და ჭურჭლის წკარუნი ყურთასმენას ახშობდა. ყოყმანით ერთი ნაბიჯი უკან გადადგა, კარის სახელურს მიაწვა. არ ესიამოვნა, მოქეიფეებით სავსე რომ დაუხვდა სასადილო. ყველას აქ შეუფარებია თავი. ერთი თავისუფალი, პატარა მაგიდაც არა სჩანდა მახლობლად, შეუმჩნევლად რომ მისჯდომოდა, ჩუმად ევახშმა და თანაც ავტობუსის საყვირისათვის ყური ეგდო.

საჭმელების, განსაკუთრებით შემწვარი სულგუნის და ცხელი ღომის გამაღიზიანებელმა სუნმა მადა გაუღვიძა, აიძულა ადგილი მოეძებნა. ნაბდის ნაპირებს ხელი მოავლო, შემოიკეცა — გასასვლელში ჩახერგილი სკამებისათვის რომ არ წამოედო და ყურადღება არ მიექცია. რადგან სასადილოს ბოლოში თავისუფალი ადგილები სჩანდა, იქით გაეშურა. კედლის კუთხეში მიდგმულ მაგიდასთან გაჩერდა. შეაკრთო უეცარმა, არეულმა შეძახილებმა: „არშბა!" „აქეთ, აქეთ". „გაუმარჯოს!" მოპირდაპირე კუთხეში ხუთი აფხაზი შემოსჯდომოდა გაშლილ სუფრას. ქეიფობდნენ, ლაზღანდარობდნენ. მაგიდაზე საჭმელების მონარჩენით მოსვრილი თეფშები, ერთ მხარეს ცარიელი, მეორე მხარეს სავსე ბოთლების გროვა სჩანდა. მარტო მაღალ-ყელიანი, მწვანე შუშის ვაზა იდგა წესიერად. ვაზაში ვარდები ეწყო. ვარდებს მთვრალებივით გადმოეკიდათ თავები. ვაზა ვილაცას პირამდე წითელი ღვინით აევსო...

როცა არშბამ ნაბიჯი გადასდგა, ხუთივე აფხაზი ფეხზე იდგა, ხუთივე არშბას შესცქეროდა ღიმილით, ხუთივეს ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა ხელში — მისკენ გაწვდილი. დაღონდა არშბა. ალბათ, მათგან თავს ველარ დააღწევდა ადვილად. მივიდა, მიესალმა. ამ ხუთში ერთი ტაბალუას ნათესავი იყო. არშბა თამამად მიესალმა მასაც. ყველანი დასხდნენ. მაღალმა, ნაცრისფერ-ჩოხიანმა ბარციცმა გვერდით მოისვა არშბა.

— ვინც მოვიდა, — დაიწყო მან, წუთით შესდგა, დანარჩენებს გადახედა, მოხდენილ სიტყვას არჩევდა...

არშბას პირდაპირ მჯდარმა ალარ აცალა, სათქმელი მოსტაცა და უბრალოდ დააბოლოვა:

— გაუმარჯოს!

ყველამ გაიმეორა მისი ნათქვამი. ჭიქები ერთმანეთს შეეხნენ და წკრიალით დაუდასტურეს არშბას მეგობრების ნება-სურვილის სიწმინდე. ბარციცმა დიდი ჭიქა შემოსწრებულს მიაწოდა. არშბამ ფრთხილად, ყოყმანით ჩამოართვა, მეგობრებს, ნაცნობებს გადახედა, დინჯად თავი დაუქნია, ფეხზე ამდგარმა სათითაოდ შეახო მეგობრების ჭიქას თავისი ჭიქა და უსიტყვოდ დალია. ცარიელი ჭიქა ცარიელ ბოთლს ჩამოაცვა და განზე დადგა.

ისევ თავიდან დაიწყო სმა და სიმღერა. არშბაც აჰყვა, თუმცა სიმღერის გუნებაზე ჯერ კიდევ არ იყო. მაგრამ ღვინომ ნელნელა გაუხალისა გუნება, აალაპარაკა, აამღერა. ბოლოს მაინც გაიხსენა ავტობუსი, მორჩილად სთხოვა თამადას — გაეშვა. კისერშიც აკოცა, მაგრამ ვერაფერს გახდა. არ გაუვიდა ხვეწნა. რამდენიმე ბოთლი ღვინო კიდევ მოატანინა ბარციცმა. მწვადებიც შეუკვეთა.

— თუ ლხინია, ლხინი იყოს... ამაღამ აქა ვართ! — ამაყად, თანაც მუქარით წარმოსთქვა ბარციცმა და არშბას გადახედა.

ეს შენიშვნა ყველაზე მეტად თითქოს მას ეხებოდა. არშბამ გაუღიმა. თავი დახარა.

— მეჩქარება, ხალხო, თორემ...

— თორემ? საით გეჩქარება!.. — გაიკვირვა ბარციცმა და მარცხენა თვალი ისე მოხუჭა, თითქოს მიზანში იღებდა არშბას.

— აკარმარაში მივალ.. ერთმა ავტობუსმა უკვე...

— სად არშბა, სად ავტობუსი!

— როცა გეჩქარება!?

— ცხენზე ჩქარა ავტობუსი ვერ ივლის ჩვენს გზებზე!

— ვერ ივლის! — მშვიდად მიუგო, დაეთანხმა მთვრალს არშბა.

— მაშ?

— მაგრამ როცა ცხენი არა გყავს?

— მე გიშოვი, ჩვენც იქით მივალთ! — მიუგო და ჭიქა ასწია ბარციცმა.

ყოველ სადღეგრძელოს შესმის შემდეგ დგებოდა, ემშვიდობებოდა, მაგრამ წასვლას მაინც ვერ ახერხებდა არშბა.

მისი ქამრის ბალთაზე მაგრა მოეჭირა ხელი ბარციცს, არ უშვებდა. სკამზე ნახევრად იჯდა არშბა, ველარ ითმენდა, მოცდას ველარ იტანდა. თვალი გასასვლელისაკენ ეჭირა. გული მოსდიოდა ამხანაგებზე. მაინც ღიმილით უცქეროდა... მთვრალს ვერ დაემდურებოდა.

ბოლოს გააშვებინა თუ არა ხელი ბალთაზე, გასაქცევად მომზადებულმა განზე გაიხედა — გზაში ხომ არაფერი შეუშლიდა ხელს. გაიხედა და ეჭვით, უსიამოვნოდ გაიფიქრა: იქნებ მომეჩვენაო... ხელმეორედ, დასარწმუნებლად იქით გახედვას ველარ ბედავდა: შემოსასვლელში, კედელთან იქნება მართლა „ის" იდგა და უთვალთვალებდა. დარწმუნებული იყო, ტაბალუას არ გაუჭირდებოდა მისი მიგნება. გულის გასამაგრებლად არშბამ ორჯერ აავსო დიდი ჭიქა და ჩუმად, უდღეგრძელებლად დალია. ტაბალუაზე ფიქრი მართლაც გაუნელა ღვინომ და ბოლოს სულ გადაავიწყა. თვლემა შეეპარა. ჭიქების წკარუნი, ლაპარაკი, სიცილი თანამესუფრეებისა ახლა ისე ესმოდა, თითქოს საიდანღაც, შორიდან, ჯურღმულიდან მოედინებოდა. მხოლოდ ერთხელ გამოაფხიზლა მხარზე შემოკრულმა ბარციცის ხელმა — სუფრის გარშემო მსხდომთა ღვინისაგან აწითლებული სახეები სანთლის ალივით ირხეოდნენ და ბურუსში გაფერმკრთალებულივით ეჩვენებოდნენ არშბას. იგი წუთით გამოფხიზლდა, მაგრამ ისევ მალე დახარა თავი, მკლავებით მაგიდას დაეყრდნო, ჩასთვლიმა.

ქარი სისინებდა. დეკემბრის სუსხი ჭინჭარივით შუშხავდა სახეს, ხელებს. არშბა ავტობუსის მოსაცდელთან მივიდა, ხის გრძელ სკამზე მსხდარ მგზავრებს გახედა, გაკვირვებით იკითხა:

— როდის წავა ავტობუსი?

მგზავრები იკრუნჩხებოდნენ და იმუშნებოდნენ.

— ჯერ არც დაბრუნებულა, წასვლა ვინ იცის?!

უკმაყოფილოდ მიუგო მოხუცმა, თავშალ წამოხურულმა ქალმა. სკამის თავისუფალ ნაპირზე ჩამოჯდა დაღონებული არშბა. ნაბადში სახე ჩამალა, გაინაბა. მაგრამ ვერც ამ ყოფაში გასძლო დიდხანს. ხან ავტობუსზე ფიქრი და აკარმარაში დაგვიანების ამბავი, ხან ტაბალუასთან მოულოდნელი და არასასიამოვნო შეხვედრის მოგონება არ ასვენებდა. მისი სახე, მისი თვალების ცივი მზერა და საოცარი უმოძრაობა ელანდებოდა წამდაუწუმ...

ადგა არშბა, ნაბადში ტანი შეარხია, მერე მიიხედ-მოიხედა და უცებ... მოშორებით, ბოძთან, ჩრდილში ატუზულ ტაბალუას რომ მოჰკრა თვალი, დამფრთხალ კუსავით ჩამალა თავი ნაბადში... გაიარ-გამოიარა. ისევ შეჩერდა. წუთით ჩაფიქრდა: „მეტხანს მოცდა შეუძლებელია, შუაღამე მოახლოვდა უკვე". „ისიც" მოსვენებას აღარ აძლევს, სულს უშფოთებს. გაახსენდა არშბას: ხუთი წელია, რაც... ეს უკან დევნა, დაუსრულებელი, უცნაური, უმიზნო... ეს თვალთვალი, ტაბალუას მშვიდი, ფერმკრთალი სახე, თვალთა უმოძრაობა აუტანელია არშბასთანა ვაჟკაცისათვის... სადაც არ არის, იქაც ელანდება. მარადიულ ხილვად ექცა... აღარც მძინარეს ასვენებს, აღარც ფხიზელს... ფხიზლისთვის უფრო ძნელი ყოფილა...

...ხუთი წლის წინათ დაიწყო. არშბა ტაბალუების სასიძო იყო. ორივე ოჯახი ემზადებოდა ქორწილისათვის. ყველაფერი კეთილად მიმდინარეობდა, იმ უბედურ, უილბლო დღეს ტაბალუას უმცროს ძმას რომ არ აეჩემებინა სიძესთან ერთად ტყეში წასვლა, იმ უბედურ დღეს არშბას მიერ მოჭრილ ხეს ტოტი რომ არ წამოეკრა გათამამებული ბავშვისათვის, ქვეშ რომ არ მოეყოლებინა და სასიკვდილოდ არ დაეშავებინა...

არშბამ სახლამდე ხელით ატარა დაშავებული. მის უფროს ძმას უამბო ყველაფერი. იმედოვნებდა: თუმცა წილი ედო, მაგრამ... აპატიებდნენ უთუოდ...

მართლაც აპატიებდნენ, ბავშვი, რომ...

მაგრამ ბავშვი მოკვდა.

იმ დღიდან ორი გვარი გადაეკიდა ერთმანეთს. იმ დღიდან გვარისა და ოჯახის იმედს საკუთარი აჩრდილივით, განუყრელად სდევდა ტაბალუა.

დაჰყვებოდა შორიახლოს. უთვალთვალებდა ჩუმად, ფრთხილად. არშბა მოსალოდნელ ხიფათს არ ერიდებოდა. თამამად დადიოდა ყველგან, ყოველთვის... მაინც ელოდა. ტაბალუა კი მოხერხებულ შემთხვევას ეძებდა, ალბათ, მაგრამ... რამდენი იყო ისეთი შემთხვევა...

განზრახვა იქნებ შეუმჩნევლად უნდოდა მოეყვანა სისრულეში. რაკი სასამართლომ არშბა უდანაშაულოდ სცნო, ტაბალუასთვის ერთი გზა-ღა რჩებოდა მიზნის მისაღწევად: ისე გაექრო მოსისხლე, რომ ამ ბოროტმოქმედებაში მასზე ეჭვი ვერ მიეტანათ. ამიტომ შეგნებულად გაურბოდა პირისპირ, მით უმეტეს ვინმეს თანდასწრებით არშბასთან შეხვედრას და შებრძოლებას. არშბას სანატრელად გაუხადა ტაბალუამ ამ გაჭიანურებული საქმის დაბოლოება. მარტო დაჰყვებოდა, უთვალთვალებდა, თითქო ამ ხერხით ლამობდა მის დამორჩილებას, გაქრობას. „ნუთუ ის ბავშვი, რომლის სიკვდილში ბრალი არ მიმიძღვის, ვერ ისვენებს, სანამ მეც თავის გვერდით არ მიმიწვენს?" არშბა შეიმშუშნება, გაივლ-გამოივლის. შავ ჩოხაზე შავი ნაბადი, შავ ნაბადზე ბნელი ღამე დასწოლია და შთაუნთქავს, გაუჩინარებია. მაინც თითქოს მასზე უკეთესად არავინ მოსჩანს იქ... უკეთესად ტაბალუას თვალი ვერავის ამჩნევს. სახე თვალებამდე ჩაუმალავს ნაბადში, თვალებს აცეცებს. ტაბალუას ეძებს, მაგრამ ის უკვე ახლომახლო აღარსად სჩანს...

არშბა შეჩერდება, ყურს მიუგდებს, თითქო რაღაც ჩუმი, საეჭვო შრიალი მოესმა ზურგიდან... მიბრუნებას ვერ

(დასასრული მე-4 გვ.).

### ახალი წიგნები

**ბენჯამენ კონსტანი—„ადოლფი“**

„ფედერაციამ“ გამოსცა ფრანგი მწერლის ბენჯამენ კონსტანის ცნობილი რომანი—„ადოლფი“. ეს წიგნი ხსენებული ავტორის ერთად-ერთი მხატვრული ნაწარმოებია. იგი ავტობიოგრაფიულ ქარგაზე აგებული რომანია.

„ადოლფი“ ფრანგულ ენიდან თარგმნილია ქეთევან ორჯონიძის მიერ. მის მიერვეა დაწერილი შესავალი წერილი ბენჯამენ კონსტანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

წიგნი შეიცავს 228 გვერდს, დართული აქვს ბენჯამენ კონსტანის სურათი, გამოცემულია ლამაზად და ღირს 6 მან. 50 კაპ.

**ირაკლი აბაშიძის ლექსები**

საბლიტგამმა სასკოლო ბიბლიოთეკის სერიის ხაზით გამოსცა ირაკლი აბაშიძის რჩეული ლექსები.

წიგნში მოთავსებულია 22 ლექსი, შეიცავს 60 გვერდს და ღირს 4 მან.

**მონოგრაფია ვახტანგ ორბელიანზე**

საბლიტგამმა გამოსცა სერგო ჭილაიას მონოგრაფია ვახტანგ ორბელიანზე. ეს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ვრცელი მიმოხილვაა.

წიგნს დართული აქვს დამატება, სადაც მოცემულია ცნობები პოეტის ბიოგრაფიიდან, სხვათა შორის მის მიერ 1832 წლის შეთქმულების შესახებ მიცემული ჩვენება.

წიგნი შეიცავს 120 გვერდს და ღირს 3 მან. 50 კაპ.

**„კიინის თავგადასავალი“**

საბლიტგამმა გამოსცა ილო მოსაშვილის საბავშვო პიესა „კიინის თავგადასავალი“.

წიგნი დასურათებულია მხატვარ ვ. ვეტროვის მიერ, შეიცავს დიდ ფორმატის 16 გვერდს და ღირს 4 მან. და 60 კაპ.

**„ხაჯი-აბრეკი“ ქართულად**

ლერმონტოვის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს სამხატვრო შრეწველობის ტრესტი გამოსცემს დიდი რუსი პოეტის ნაწარმოებს „ხაჯი-აბრეკს“. წიგნი მხატვრულად იქნება გამოცემული და გამოვა საიუბილეო დღეებისათვის.

# საზღვარგარეთ

## „ზარბაზნის გასროლა“

საინტერესო ინციდენტი მოხდა ამასწინად ფილადელფიაში (ამერიკის შეერთებული შტატები) ჩაიკოვსკის უვერტიურის „1812 წლის“ შესრულების დროს. როგორც ცნობილია, უვერტიურაში მუსიკის მსვლელობისას რამდენჯერმე გასროლილ უნდა იქნას ზარბაზანი. უვერტიურა სრულდებოდა ღია ცისქვეშ. საკონცერტო ესტრადასთან მიტანილ იქნა ნამდვილი ზარბაზანი, რომელიც უნდა გაესროლათ. მაგრამ უვერტიურის მომზადების პროცესში წამოიჭრა საკითხი, რა მოუხერხონ ამ თავისებურ ინსტრუმენტზე „დამკვრელს“: ამერიკული კანონების თანახმად, იგი უსათუოდ მუსიკოსთა კავშირის წევრი უნდა ყოფილიყო, რადგან მონაწილეობას იღებდა მუსიკალურ შესრულებაში. ეს დადგენილება რომ არ დაერღვიათ, ადმინისტრაციამ მოსძებნა მუსიკოსთა კავშირის ისეთი წევრი, რომელმაც ზარბაზნის სროლა იცოდა. კანონიერება დაცულ იქნა: მუსიკალური ნომერი „ზარბაზნის გასროლა“ შესრულებულ იქნა, როგორც ამერიკული პრესა სწერს, მუსიკოსთა პროფკავშირის წევრის მიერ.

## საჰაერო თავდასხმა და მუსიკა

ჟურნალი „მუსიკალი ამერიკა“ გადმოგვცემს ზოგიერთ დეტალს, რომელიც ახასიათებდა ლონდონის მუსიკალურ ცხოვრებას 1940 წლის შემოდგომაზე.

მიუხედავად გერმანელთა ავიაციის თავდასხმებისა, ჩაბნელებისა, ტრანსპორტის მოშლისა, ინგლისის დედა-ქალაქის მუსიკალური ცხოვრება არ შეწყვეტილა.

ერთხელ „კუინს ჰოლში“ მიმდინარეობდა კონცერტი ვაგნერის ნაწარმოებებიდან. მოისმა სირენის ხმა, რომელიც ამცნობდა ხალხს ლონდონის მორიგ ბომბარდირების შესახებ. დამთავრდა კონცერტის პირველი განყოფილება. მსმენელები დარბაზში დარჩნენ და მოისმინეს კონცერტის მეორე განყოფილებაც. რადგან განგაშის დასრულების ნიშანი იგვიანებდა, ორკესტრმა პროგრამის გარეშე რამდენიმე პიესა შეასრულა, შემდეგ ორკესტრის ცალკე არტისტებმა რამდენიმე ნომერი შეასრულეს. განგაშის დასრულების ნიშანი კვლავ არ იყო. მაშინ სცენაზე გამოსვლა იწყეს მსურველებმა დარბაზიდან. გაისმა სიმღერა, რომელსაც აჰყვა მთელი დარბაზი. ეს იმპროვიზირებული კონცერტი საზენიტო არტილერიისა და ყუმბარების აკომპანიმენტის ქვეშ გაგრძელდა ღამის 3 საათამდე, სანამ ქალაქზე თავდასხმა არ დასრულდა.

## „გაზეთის მეფე“ ეკრანზე

ცნობილმა ამერიკულმა კინოკამპანიამ „რადიო კეიტ ორფეუმმა“ დაასრულა ფილმი „მოქალაქე კეინი“. ამ ფილმის გარშემო დიდი ბრძოლა გაიმართა.

ფილმში არახელსაყრელად არის ნაჩვენები მსხვილი საგაზეთო კონცერნის ყოველდღიური „ცხოვრება“. ფილმის მთავარი გმირია „გაზეთის მეფე“, რომელიც სიმდიდრესა და დიდებას აღწევს ყოველგვარი ბნელი მახინაციით.

ფილმი ჯერ კიდევ ეკრანზე არ გამოეტანათ, რომ მის წინააღმდეგ „გაზეთის მეფემ“ ხერსტმა კამპანია დაიწყო. ხერსტმა განაცხადა, რომ ფილმი „მოქალაქე კეინი“ თვით ხერსტის პირად ცხოვრებასა და კარიერას აღწერსო. ხერსტი დაემუქრა „რადიო კეიტ ორფეუმს“, რომ თუ ის „მოქალაქე კეინს“ გამოუშვებს, იგი ბოიკოტს გამოუცხადებს ამ კომპანიის მიერ გამოშვებულ ყველა ფილმს.

მიუხედავად იმისა, რომ ხერსტის მდგომარეობა უკანასკნელ წლებში ძალზე შეირყა და იგი ფაქტიურად გადადგა გამომცემლობის ხელმძღვანელობიდან, მან მაინც მოახდინა ზეგავლენა კინოკამპანიაზე. „მოქალაქე კეინის“ ეკრანზე გამოშვება შეჩერებულ იქნა.

სცენარის ავტორი და ფილმის რეჟისორი, ხელოვნების ცნობილი მოღვაწე და არტისტი ორსონ უელესი თავად თამაშობს ფილმში მთავარ როლს. ორსონ უელესმა ამერიკაში სახელი გაითქვა რადიოში ჰერბერტ უელსის რომანის „ქვეყნების ბრძოლის“ მონტაჟის დადგმით. რომანის თემაა—მარსელების თავდასხმა ჩვენს პლანეტაზე. ამ მონტაჟის გადაცემამ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოულოდნელად პანიკა გამოიწვია.

ორსონ უელესი ცდილობს ფილმის „მოქანდაკე კეინის“ ეკრანზე გამოშვებას. მან განაცხადა, საქმეს სასამართლოს გადავცემო.

## საღამოს 9 საათზე ბუენოს - აირესში

ბუენოს-აირესში (არგენტინა) გამოდის სამი საღამოს გაზეთი: „კრიტიკა“, „ნოტისიას გრაფიკას“ და „ლა რაზონი“. კონკურენცია დიდი ხნის განმავლობაში სისტემატურად შლიდა მათ საწარმოო გრაფიკს: ყოველი გაზეთი ცდილობდა ახალი ნომერი თავის კონკურენტზე რამდენიმე წუთით ადრე გამოეშვა გასასყიდად. ბოლოს კონკურენტები შეთანხმდნენ და თვითეული გაზეთის გამოშვების ზუსტი დრო დააწესეს. ამასთან ერთად შეთანხმდნენ ტერიტორიულადაც გაეთანაბრებინათ თავიანთი შანსები, ამიტომ გადასწყვიტეს, გაზეთების გაყიდვა დაეწყოთ ქალაქის ერთი რომელიმე პუნქტიდან.

ჟურნალი „უორლდს პრესი ხიუსი“ ასე აღწერს სცენებს, რომლებიც ყოველ საღამოს, 9 საათზე მეორდება ბუენოს-აირესში საღამოს გაზეთების გამოშვებისას:

„გაზეთის გამყიდველთა დიდი ჯგუფი გროვდება „ლა რაზონის“ შენობასთან. ამავე ადგილზე ავტომობილებით სტამბებიდან მოაქვთ გაზეთები „კრიტიკას“ და „ნოტისიას გრაფიკას“. გამყიდველები იღებენ გაზეთებს და მზად არიან სტარტისათვის. სრულ 9 საათზე დაირეკება ზარი და ისინი გარბიან ქუჩებში და ჰყიდიან სამ გაზეთს ერთად.

ერთხელ „კრიტიკას“ სტამბაში გაფუჭდა საროტაციო მანქანა, რის გამოც გაზეთი თავის დროზე დანიშნულ ადგილას ვერ მიიტანეს. ამის გამო „ნოტისიას გრაფიკას“ და „ლა რაზონის“ გამოშვებაც შეაჩერეს. შეჩერებამ ორ საათს გასტანა.

გაზეთის გამყიდველებს შორისაც მოხდა ერთგვარი შეთანხმება. მათ გადასწყვიტეს მეტი შეღავათი მისცენ პატარა ბავშვებს. ისინი სტარტზე დგებიან არა დიდებთან ერთად, არამედ ორი კვარტალით წინ. მაგრამ ზარის დარეკვამდე არც ერთი მათგანი გაზეთს მაინც არა ჰყიდის.

როცა გაისმის ზარის ხმა, ყველანი საშინელი ყვირილით მოსწყდებიან ადგილებიდან. იერიშის ძალა იმდენად დიდია, რომ ჩერდება ავტომობილების მოძრაობა, ხოლო ქუჩაში მოსიარულენი თავს აფარებენ სახლების შესასვლელებს სანამ ეს მდინარება გვერდს არ აუვლის“.



გიორგი სააკაძე. ქანდაკება მერაბიშვილისა.

# ბიბლიოგრაფია

## „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“

ამ ორიოდე წლის წინად რუსულ ენაზე გამოვიდა ვიკ. გოლცევის წიგნი — „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“. ეს წიგნი ეხლახან ქართულ ენაზე გამოსცა „ფედერაციამ“ (თარგმანი ი. ზურაბიშვილისა).

როგორც ავტორი აღნიშნავს, „ეს ნაშრომი სამეცნიერო გამოკვლევა არ არის,—იგი მხოლოდ შესავალია საკითხის შესწავლისათვის. ის არ იჩენს ამომწურავ სისავსეს. მისი მიზანია — სისტემატიზებური სახით მთელი რიგი ცნობების მიწოდება რუსი მკითხველისათვის შოთა რუსთაველზე და მისი პოემის ძირითად თავისებურებათა გამოვლინება“. ამ ამოცანას წიგნი უსათუოდ ასრულებს. წიგნის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას საკმაოდ დიდი შრომა გაუწევია, რათა დაწვრილებით გასცნობოდა რუსთაველისა და მისი ნაწარმოების შესახებ არსებულ მდიდარ ლიტერატურას. გზადაგზა იგი საკუთარ დაკვირვებებსა და მოსაზრებებს იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ მხარეზე.

„შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ შვიდ თავს შეიცავს. აი ამ თავების სათაურები: „ვინმე ბატონი, რუსთაველად სახელწოდებული“, „რუსთაველის საუკუნე“, „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორის ბიოგრაფიის პრობლემა“, „სოციალ-პოლიტიკური ბრძოლა რუსთაველის ასახვით“, „ჰუმანიზმი, როგორც რუსთაველის მსოფლმხედველობის საფუძველი“, „გმირობა, სიყვარული და მეგობრობა რუსთაველის გაგებით“, „ოსტატობა და ხალხურობა“. ეს თავები მართლაც მოიცავენ „რუსთაველიანის“ მნიშვნელოვან, არსებით საკითხებს.

პირველ თავში ავტორი მოკლედ ეხება ორ უმთავრეს საკითხს: ერთი —როგორი იყო ძველი ქართველი პოეტების (არჩილ II, დ. გურამიშვილი და სხვები) დამოკიდებულება რუსთაველისადმი; მეორე—რა გამოხმაურება ჰპოვა მე-19 საუკუნის რუსულ ლიტერატურაში რუსთაველმა და მისმა „ვეფხის-ტყაოსანმა“. მეტად საინტერესოა მეორე საკითხი. 1802 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში: „საქართველოს ისტორიული გამოსახულება მის პოლიტიკურ, საეკლესიო და სასწავლო მდგომარეობაში“ ვკითხულობთ: „განსაკუთრებით ღირსია მოხსენიებისა ორი ნამეტნავად ძველი ქართული პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“, ე. ი. Барсова кожа, და „თამარიანი“, ე. ი. Хвала Тамаре. ორივე დაწერილია ექვსასი წლის წინათ, მეფე თამარის დიდებული მეფობის დროს, მისი, ასე ვთქვათ, ზეშთაგონებით. ორივე შეთხზულია მისი მახლობელი ბოიარების მიერ, პირველი რუსთაველის, მეორე ჩახრუხაძის მიერ. ორივე ქართველებს აქამდე შეუნახავთ მთლად, და ამდენი საუკუნის განმავლობაში მათი სამშობლოს სხვადასხვაგვარად ჩაგვრისა, დამონებისა და აოხრებისა, რამაც ბევრი მათი ძეგლი გაანადგურა, მაინც მათი ხსოვნიდან არ ამოფხვრილა. პირველი პოემის, „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი თითქმის რომანიულია, ინდოეთის ისტორიიდან ამოღებული. მოქმედების სცენები არიოსტოს პოემის როლანდის მაგვარია. ხოლო სურათების სილამაზე, ორიგინალობა, იდეათა და გრძნობათა ბუნებრივობა ოსიანისებურია“. ამის შემდეგ, დროდადრო რუსულ ლიტერატურაში ჩნდება რუსთაველისა და მისი პოემის სახელი. რუსთაველის შესახებ იწერება ჟურნალ-გაზეთებში („ტელესკოპი“, „სინ ოტეჩესტვა“, „ილუსტრაცია“ და სხვ.).

საინტერესოა პუშკინის დამოკიდებულება რუსთაველისადმი. „რასაკვირველია, პუშკინს, რომელიც 1829 წელს საქართველოში იმყოფებოდა და თბილისში გაეცნო იმ დროის ქართველ პოეტებს (ალექსანდრე ჭავჭავაძეს და სხვათა), არ შეეძლო არ გაეგო შოთა რუსთაველის პოემის არსებობა... ძალიან დამაჯერებელია მ. აზადოვსკის გუმანი, რომ 1829 წლის შავად დაწერილ ლექსებში **„В прохладе сладостной фонтанов“** პუშკინი გულისხმობს შოთა რუსთაველს. ლაპარაკობს რა მე-13 საუკუნის სპარსული ლირიკოსის საადის მოწაფეებზე, პუშკინი უპირისპირებს მათ ვიღაც კავკასიელ პოეტს“ (გვ. 13).

პოეტმა იაკობ პოლონსკიმ, რომელიც მე-19 საუკუნის 50-იან წლებში სცხოვრობდა თბილისში, რუსთაველს რამდენიმე ლექსი მიუძღვნა.

მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ ეპიზოდური ხასიათის მოვლენები იყო. რუსთაველის სახელი, მისი უკვდავი პოემა რუს მკითხველისათვის ნაცნობი, მახლობელი და საყვარელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს: „ვეფხის-ტყაოსანი“ უკანასკნელ წლებში რუსულ ენაზე მთლიანად რამდენიმე ავტორმა სთარგმნა. დაიწერა მრავალი სტატია რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ. თუ რამდენად პოპულარულია „ვეფხის-ტყაოსანი“ დიადი საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის ამის ნათელ პასუხს იძლევა გოლცევის წიგნის უკანასკნელი თავი, სადაც მას მრავალი ამონაწერი მოჰყავს მოძმე ხალხების მოწინავე მწერლობის სიტყვებიდან და წერილებიდან რუსთაველისა და მისი ნაწარმოების შესახებ.

თავისი ნაშრომის მეორე თავში — „რუსთაველის საუკუნე“ ავტორი ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა სოციალ-პოლიტიკური ვითარება, კულტურული მოძრაობა და სხვა. ამ თავში შედარებით ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი ამ საუკუნის ფილოსოფიური აზროვნებისა და ლიტერატურის საკითხებს.

დანარჩენ თავებში მიმოხილულია რუსთაველის ცხოვრების საკითხები, მისი შემოქმედების ხასიათი, მსოფლმხედველობა, „ვეფხის-ტყაოსნის“ მხატვრული მხარე და მისი ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში.

მართალია, ამ ნაშრომში არის სადაო თუ არასწორი მოსაზრებებიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთლიანად იგი არ არის მოკლებული ინტერესს. მისმა ავტორმა უსათუოდ სასარგებლო საქმე გააკეთა.

რამდენიმე შენიშვნა ამ წიგნის ქართველ მთარგმნელსა და გამომცემელს. ჩვენის აზრით, უფრო სწორი იქნებოდა „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორის გვარი წიგნში ყოფილიყო წარმოდგენილი თანამედროვე მეცნიერებაში მიღებული ტრანსკრიპციით (რუსთაველი). წიგნში მრავლად გვხვდება კორექტურული შეცდომები (გვ. 31, 80 და სხვ.).

წიგნი გამოცემულია ლამაზად და ღირს 7 მან. და 50 კაპ.

**ს. კიზირია**

# არშაბა

### დასასრული

შედავს, ვერ მოუხერხებია: ახლა იქნებ ზურგს უკან დგას ტაბაღუა... მოახლოვებული ხალხის ყაყანი, სიცილი, ძალაუნებურად მოახედებს ზურგისაკენ არშაბას... მიხვდება.... მოქეიფენი აშლილან, აქეთ მოდიან და თუ იიევ ჩაიგდეს არშაბა ხელში, მაშინ დილამდე ვეღარ გაუსხლტება მათ...

ესეც აიძულებს. ავტობუსს აღარ მოუცდის. რადგან ცხენის შოვნის იმედიც არა აქვს, აკარძარისაკენ ფეხით გაუდგება გზას. ასიოდე ნაბიჯს რომ გაივლის, მობრუნდება და უცებ ინატრებს: შემხვედროდეს ნეტავი ვინმე, ფეხიზელი თანამგზავრი. მარტო მოსაწყენია მგზავრობა, ისიც ზამთრის უგემურ საღამოს ბინდბუნდში, სუსხში, აჩონჩხილი ტყის გაზვიადებულ მყუდროებაში, მარცხნივ რომ აკრავს გზას, და მდინარის შორეულ შხუილ-შიშინში, ხეობიდან რომ მოისმის... მიდის არშაბა და ამ დუმილში, ამაზრზენ მყუდროებაში თითქოს ესმის, საკუთარი ფეხის ხმის გარდა, ვიღაც უცხო-უხილავის ფეხის ხმა... დროდადრო კარგად არჩევს, სმენა კარგი აქვს, არ მოტყუვდება. მიიხედავს: მომეჩვენაო, — გაიფიქრებს, სიმღერას წამოიწყებს... ტაბაღუაზე ფიქრი მაინც არ ასვენებს, ფეხის ხმა დროდადრო მკაფიოდ ესმის და ახელებს...

ელსადგურის საგუბარს ზემოთ კვლავ შეჩერდება, მიიხედავს, გავლილ გზას დააკვირდება... ხიდთან მოძრავ სილუეტს მოჰკრავს თვალს. ჯერ ხეს მიამსგავსებს... იმ ალაგას, თუ ცოტა მოშორებით, მართლა იყო და არშაბასაც ახსოვდა გადაჭრილი ხე — მოჩვენების მსგავსი. მაგრამ ახლა ძნელი გასარჩევი იყო ბინდბუნდში—მართლა ხე მიამსგავსა კაცს თუ კაცი ხეს. როცა არშაბამ ნაბიჯი გადადგა და ეს „ხეც“ ადგილიდან დაიძრა, მხოლოდ მაშინ დარწმუნდა, რომ არც თვალი ატყუებდა და არც ალღო ღალატობდა.

არშაბამ, გათოშილ სახეზე ხელი მოისვა, ყაბალახი შეისწორა და უცებ... გიჟივით გადაიხარხარა. მერე ხარხარს თანდათან უკლო და ღიღინით განაგრძო გზა...

„რა მოთმინება, რა გული უნდა ჰქონდეს მოთვალთვალეს“, — ფიქრობდა, უკვირდა. ისიც უკვირდა: ტაბაღუა მხდალი არ ყოფილა არასოდეს: „კარგად ვიცი, მაგრამ... იქნებ ჩემთან მტრობამ, დაუსრულებელმა თვალმა წაახდინა კაცი? იქნებ არც სურს თითონ, იქნებ, განგებ აჭიანურებს დროს. ვინ იცის!“ მიდის, მიბარბაცებს არშაბა... ტაბაღუაც მიჰყვება კვალდაკვალ... გზა ჯერ კიდევ ბევრია წინ. დიდხანს უნდა იარონ ასე. ივლიან, მეტის ატანა რომ შეეძლოს არშაბას. მოთმინებაც დაილია. მოსახვევთან მიახლოვებამ რაღაც მოაგონა... არა, წინ უფრო უკეთესი თავშესაფარი ეგულვება... იქ აჯობებს...

ჩაუხვევს თუ არა გზის ნაპირას, მიყუდებულ ლოდებზე გადახტება, იშიშვლებს ხანჯალს — ჯაგებში გადაეშვება, გაჰკაფავს ვიწროდ, ჩაძვრება, ჩაიმალება. ასე ელოდა. ტაბაღუამაც არ დააყოვნა; დაუახლოვდა, ფრთხილად შემოუარა მოსახვევს, ჯერ გზას გაჰხედა, რაკი მგზავრი ვერსად იხილა, ქვებს გადაღმა ეჭვით გადახედა ჯაგებს, მერე ყოყმანით, ფუსფუსით განაგრძო გზა... თვალებს აცეცებდა ბნელაში... ეძებდა არშაბას. თანაც უკვირდა, ალბათ, ასე რომ გაუსხლტა თვალსადახელს შუა... ოციოდე ნაბიჯი გაირბინა წინ, შეჩერდა. ვერ გადაეწყვიტა: განეგრძო გზა თუ უკან დაბრუნებულიყო და იქ მოსახვევთან დალოდებოდა... მალე ისევ უკან დაბრუნდა გაოცებული... მოსახვევთან ნაბიჯი შეანელა, დოინჯი შემოიყარა, შეისვენა... გამალებით უცქერდა მკერდი, მერე მარცხნივ ლოდებზე აცოცდა, სიღრმეში გადაიხედა... გულდასმით მოათვალიერა ჯაგები... ეჭვი ვერაფერზე მიიტანა, კვალს ვერსად მიაგნო... არშაბა საფარიდან უთვალთვალებდა ყურადღებით, სახიფათოდ მომწყვდეული ნადირის გულისძგერით... ხედავდა ცხადად: რა თავგანწირვით, მონდომებით ეძებდა მოსისხლე...

ტაბაღუამ ყური მიუგდო... ერთხანს ასე უსმენდა ქვებზე უძრავად მდგარი. არსით სულიერის ხმა არ ისმოდა. ხანდახან მარტო ქარი თუ შეარხევდა ტყეში ხმელ ტოტებს, კენწეროებს აჩონჩხილ ხეებისას. დაღონდა, თანაც მოუსვენრობამ, შიშმა იმატა მის გულში... ქვებიდან სწრაფად გადმოხტა გზაზე, ქვემოთ ხეობაში გადაიხედა... „მაშ გამასწრო“, — დაასკვნა ბოლოს. ერთხელ კიდევ გაჰხედა გზას, წინაც, უკანაც, მერე რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავქვე დაეშვა—აკარმარისაკენ განაგრძო გზა...

არშაბა ისევ ყურს უგდებდა... ჯერ კიდევ ვერ ბედავდა გამოჩენას... სანამ ტაბაღუას ფეხის ხმა სავსებით არ მისწყდა, ადგილიდან არ დაძრულა. რაკი დარწმუნდა: გაოცებული და გაწბილებული მოსისხლე უკვე შორს იქნებოდა მისგან, ფრთხილად წამოჰყო თავი ჯაგებიდან, ამობობღდა, გადმოალაჯა ლოდებს... გზის პირს გაჰყვა. წინდაუკან იხედებოდა წამდაუწუმ... ვინ იცის... ეჭვობდა მაინც...

ხეობაში გადაიხედა... ბინდბუნდში ძლივს მოსჩანდა მდინარე, დინების ხმა კი მკაფიოდ ისმოდა...

გზის ნაპირას ჩამოჯდა ერთგან, ფეხით ნიადაგი მოსინჯა, მოკეცილი ნაბადი მხარზე შემოიდო და ფრთხილად იწყო სვლა ქვემოთ. განწირულივით ყველაფერს ეპოტინებოდა, ხან ბუჩქის ხმელ ტოტებს მოავლებდა ხელს, ხან მოზრდილ ქვებს, ხან სველ მიწას... მერე რაკი ფეხს გაიმაგრებდა რამეზე, ჩაეშვებოდა ქვემოთ ნელ-ნელა... მიბობღავდა, მიხოხავდა ქვემოთ ბნელში — უსასრულო წყვდიადში და მაინც უხაროდა, რომ ასე იოლად დააღწია თავი. ხელებ-დაკაწრულმა, ნაცემივით დაბეგვილმა და მოქანცულმა როგორც კი ჩააღწია მდინარის დაქანებულ, თხელ ფენებად მიწყობილ კლდოვან ნაპირზე ჩახტა, ჩაჯდა და გაინაბა. მარტო ახლა იგრძნო სიცივე, მწველი სუსხი. ნაბადი გაშალა, მოიხურა... რამდენიმე წუთს ასე იჯდა, თბებოდა. მერე გადაინაცვლა. უკეთესი ადგილი მოსძებნა სულის მოსათქმელად. რაც იყო, იყო. უფრო მეტი დაბრკოლებაც უნდა გადაელახა... დროის გასაგებად და მანძილის შესამოკლებლად მდინარეში ფეხით გასვლა არ აცდება... ხიდი ახლომახლო არსად ეგულება. თანაც საშიშია ხიდზე გასვლა—რომც იყოს, ადვილად შენიშნავს გაწბილებული და თვალგაწაფული ტაბაღუა... აქ ერთგან ისეთი ფონი ეგულება, წყალი შეიძლება მუხლამდეც ვერ შემოსწვდეს...

როცა წყალში ჩაჰყო ფეხი, შეაჟრჟოლა, მაგრამ გადარჩენის იმედმა და რწმენამ ერთხელ კიდევ უბიძგა და მეორე ნაბიჯიც გადაადგმევინა. წყალი არც ისე ცივი ეჩვენა, როგორც მოელოდა... მდინარის შუამდე რომ მიაღწია, ანაზდად უკან მიიხედა ნაპირის დასანახავად და... ნაპირთან ერთად ტაბაღუაც იხილა... ტაბაღუა წყალში ფრთხილად მოაბიჯებდა, გასიპულ ქვებზე წამდაუწუმ ფეხი უსხლტებოდა, ხელებს იქნევდა, აქეთ-იქით ქანაობდა...

არშაბა ნაპირზე გავიდა, მოკეცილი ნაბადი რიყეზე დააგდო, ჩოხის სახელოები წამოიკაპიწა, მერე დოინჯი შემოიყარა და ტაბაღუას დაუწყო ლოდინი... ელოდა განრისხებული.

სანამ ნაპირზე გავიდოდა, ტაბაღუა შეჩერდა, არშაბას ქურდულად შეავლო თვალი და თავდახრილმა რამდენიმე ნაბიჯი კიდევ წადგა წინ, წყლიდან ამოვიდა. არშაბაც თვალს არ აშორებდა, ათვალიერებდა... აკვირვებდა ლანდის მსგავსი უწყინარობა მოსისხლისა. რამდენიმე წუთს ამ მდგომარეობაში დაჰყვეს, არც ერთი ადგილიდან არ იძროდა... არშაბას რისხვა მოეშვა გულზე... თავი დახარა, თითქო მორჩილებას უცხადებდა მოსისხლეს... ხანდახან წელზე თუ შეავლებდა თვალს, ტაბაღუას ხელი ხანჯლის ტარს რომ აწვალებდა... მთვლემარესავით მოთენთილ არშაბას უეცრად რაღაც მოხვდა თავში... დაბარბაცდა, ხელები გაასავსავა, ასწია თავი, მაგრამ ვერაფერი გაარჩია, სისხლს დაეფარა შუბლი, თვალები და ღაწვები... კიდევ შეტორტმანდა არშაბა, წაიხარა, ხელში რაღაც მოჰყვა, ჩაბღუჯა და თვალი გაახილა... შეშფოთებული უმალვე წამოიჭრა ზეზე, ტაბაღუას მკლავს კი ინსტიქტურად ხელს არ უშვებდა... ტაბაღუა არშაბას გვერდით გაწყობილ სუფრასთან იჯდა და ელოდა, სანამ გაიღვიძებდა... ტაბაღუა იღიმებოდა... გათენებულიყო... სასადილოში არავინ სჩანდა, გარდა მზარეულისა, რომელსაც სარკის ნატეხი ეჭირა ხელში და ხის სავარცხლით სველ თმას ივარცხნიდა....

ტაბაღუამ დის წერილი გადასცა არშაბას. სიტყვიერადაც ახარა:

— თავს იკლავს, სულ გიგონებს, ჩამოხმა, ლანდს დაემსგავსა... ისევ უყვარხარ... დიდი ხანია მთხოვდა, მენახე... ჯერ არ ვკადრულობდი, მერე ვერ გავბედე, მერე კიდევ ვეღარ მოვახერხე ხელსაყრელ ალაგას შეხვედრა!

მაგიდაზე: რამდენიმე ბოთლი ღვინო, ღომი, სულუგუნი და ჯამით ხორცი. ღომს ჯერ კიდევ ორთქლი ასდიოდა...

არშაბამ წერილიც წაიკითხა, ტაბაღუას სიტყვაც მოისმინა, მაგრამ გონს ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო.... ვერ დარწმუნებულიყო, რომ ეს ყველაფერი ცხადად ხდებოდა და მის ტანჯვას ბოლო მოეღო... პასუხი დაუგვიანდა... თავს მაღლა ვერა სწევდა, ტაბაღუა კი უღიმოდა და პასუხს ელოდა. „ისევ გიყვარს!?“ — კითხულობდა გუნებაში ტაბაღუა. — „როგორც მიყვარდა, ახლა უფრო მეტად მიყვარს“, — იმეორებდა თავის გულში არშაბა, მაგრამ ეს სიხარული, ეს გულის წადილი რატომღაც სიტყვით ვერ გამოეთქვა....

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი, შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი) ტელეფონი 8—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 22651